„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული ფიქრი

№23 (287)

ფასი 1 ლარი

10 — 16 ივნისი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გამოდის თვეში ერთ ჯერ

„მუსულმანი ბებიის გაზრდილი ვარ, მაგრამ აჭარაში ვაჰაბისტებსა და პანისლამურ იდეოლოგიას ვერ შევეგუები!“

>>> მე-10 გვ.

უფლებადამცველ მერაბ ბლადაძის სკანდალური წერილი

ივანიშვილის 80-კაციანი „შავი სია“

„პოლიტიკა ივანიშვილისთვის არაა... იოგასა თუ ნიცშეზე საუბარი ურჩევნია!“

შს ახალი მინისტრი „რესპუბლიკელი“ იქნება, უშიშროებას გომელაური უხელმძღვანელებს

„ივანიშვილის გარემოცვაში პოლიტიკური თანამოაზრენი არასოდეს ყოფილან. მან ცალკეული ინდივიდები შეკრა და კონგლომერატი მიიღო, სადაც ყველას საკუთარი ამბიცია აქვს. ისინი კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები კი არა, ერთმანეთის მტრები არიან!“

მიშამ ოდესაში მოლვაწე ქართველ „კანონიერ ქურდებს“ გარიგება შესთავაზა?!

>>> მე-8-9 გვ.

„ნაციონალებს“ შედგენილი აქვთ ადამიანების სია, რომლებიც უნდა გაანადგურონ!“

„სააკაშვილმა ჰილარი კლინტონის ძმებს ქონება წაართვა!“ — სააკაშვილის უკრაინული გეგმები

ექსკლუზიური ინტერვიუ ისრაელის ელჩთან

>>> მე-13 გვ.

იუვალ ფუქსი: „ირანი მეორე ჩრდილო კორეა გახდება!“

ქართულ სპორტში ახალი სკანდალი მწიფდება

>>> მე-14-15 გვ.

რატომ არსებობს ბოდი ბილდინგის ორი ფედერაცია და გახდება თუ არა საქართველოში „შვარცნეგერობა“ მოდური

2 № 23 (287) 10 – 16 ივნისი 2015

ეროვნული ინტერესი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სკანდალური ექსკლუზივი

შს ახალი მინისტრი „რესპუბლიკელი“ იქნება, უშიშროებას გომელაური უხელმძღვანელებს

„თუკი ხალხს მიშას დაჭერა აღარ აინტერესებს, აბა, იმ 9-წლიან რეჟიმზე პასუხი ვინ უნდა აგოს? როცა სამოქალაქო სექტორში ხარ, შეიძლება, ასეთი განცხადება გააკეთო, მაგრამ „ქართული ოცნების“ მიმართ ხალხის ძირითადი შეკვეთა მიშას რეჟიმის გასამართლება იყო. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, დღეს ხალხის შეკვეთა უკვე სხვა რამეა, თუმცა არსებობს სამართალი. დამნაშავის დაუსჯელობა კი, უსამართლობაა, ანუ თუ დანაშაულია ჩადენილი, უნდა გამოაშკარავდეს, მაგრამ მიშას ბრალდება მანტო-პალტოზე, ვიღაც დოქტორის ჩამოყვანასა და სხვა სისულელეებზე კი არ უნდა წარუდგინონ, არამედ, მისი საქმიანობა უფრო დეტალურად უნდა შეისწავლონ!“

მიშამ ოდესაში მოღვაწე ქართველ „კანონიერ ქურდებს“ გარიგება შესთავაზა?!

„მიშა არ მოისვენებს და ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოში ჩამოვიდეს!“ – აცხადებს „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე, რომელიც პირად კონფიდენტებზე დაყრდნობით, ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციასაც ასაჯაროებს. მოკლედ, ქართველი სპეცსამსახურელი ამბობს, რომ სააკაშვილმა ოდესაში „მოღვაწე“ ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებს შუამავალი გაუგზავნა და გარიგება შესთავაზა, საქართველოში კრიმინალური ვითარება მაქსიმალურად დაძაბეთო, თუმცა ფორჩხიძე ვერ აკონკრეტებს, „შავებმა“ მიშას შეთავაზება მიიღეს თუ არა. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი „ავტორიტეტები“ ჩვენი ქვეყნის ყოფილი მმართველის „თამაშის წესებს“ მიიღებენ, ან რა წესებზეა ლაპარაკი და, საერთოდ, რატომ არის ოდესის მმართველი მიშა „ქართული ოცნებისთვის“ სერიოზული გამოწვევა? – „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს კონსტანტინე ფორჩხიძესთან, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, სამართალი აღდგებოდა და, „ქართული ოცნება“, თუ სამსახურში არ დააბრუნებდა, იმ ათ წელს, რომელიც ვანო მერაბიშვილის „ხუშტურის“ გამო გაუცდა, სპეცსამსახურში მუშაობის უწყვეტ სტაჟად ჩაუთვლიდა და, მინიმუმ, პენსიას მაინც დაუნიშნავდა, თუმცა... როგორც იტყვიან, „ნეტარ არიან მორწმუნენი...“

– ბატონო კონსტანტინე, არჩევნების მაჟორიტარულ სისტემაზე არაერთხელ გვილაპარაკია. მმართველი გუნდის გადაწყვეტილებით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, როგორც იტყვიან, მაჟორიტარების გარეშე ჩატარდება. 2016 წლისთვის კი, ამ კუთხით 50-პროცენტიანი ბარიერი დაწესდა... ისე, უმრავლესობის იმ სხდომას, სადაც ე.წ. მაჟორიტარული გადაწყვეტილება მიიღეს, ყოფილი პრემიერიც დაესწრო...

– დიახ, არაერთხელ მითქვამს, რომ ამ ეტაპზე მაჟორიტარული სისტემის გაუქმება „ქართული ოცნებისთვის“ სრული კრახი იქნება, რადგან ის რეალური რეიტინგი, რომელიც დღეს აქვს, კოალიციას იმის საშუალებას არ აძლევს, რომ 2016 წლის არჩევნებში უმრავლესობა მოიპოვოს. ამიტომ, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება ხარაკირი იქნებოდა, ანუ „ოცნება“ ხელისუფლებას დაკარგავდა. როგორც ჩანს, ეს გაფრთხილება ვიღაცამ ყურად იღო, თუმცა სიმართლე რომ ვთქვა, მომხრე არ ვარ, რომ მაჟორიტარული სისტემა იმ ფორმით, რა ფორმითაც ახლა არსებობს, დარჩეს, რადგან ეს სრულიად მახინჯი ფორმაა...

უმრავლესობის ზემოხსენებულ სხდომამდე, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მაჟორიტარული სისტემა უნდა გაუქმდეს, რაც პრაქტიკულად, მესიჯი და „რესპუბლიკელებისთვის“ სრული მხარდაჭერის გამოცხადება გახლდათ.

– „რესპუბლიკული პარტია“ რა შუაშია?

– იმ შუაშია, რომ არასამთავრობოების ამ მოწოდებას თავდაპირველად „რესპუბლიკელები“ გამოეხმაურნენ...

– მხოლოდ არასამთავრობოების მოწოდება კი არა, დასავლეთის მოთხოვნაცაა, რომ საარჩევნო კოდექსი რადიკალურად უნდა შეიცვალოს და არჩევნების მაჟორიტარული სისტემაც გაუქმდეს...

– თავის დროზე დასავლეთის ეგიდით გამართულ „აი-ფი-ეს-“ის მოლაპარაკებებში ვმონაწილეობდი და ამ საკითხებში კარგად ვარ ჩახედული. სხვათა შორის, მაშინ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე უარი „ნაცმოძრაობამ“ თქვა...

მოკლედ, ამ თემატიკისთვის ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა, პრაქტიკულად, „რესპუბლიკელებისთვის“ მხარდაჭერას ნიშნავდა, რაც „ქართულმა ოცნებამაც“ იგრძნო და უმრავლესობა სწრაფად ამიტომაც შეიკრიბა. სხვა შემთხვევაში, კოალიციის შიგნით შეიძლება, ახალი დაპირისპირება დაწყებულიყო. ისე, რაღაც-რაღაცები „რესპუბლიკელებმაც“ დათმეს.

– სახელდობრ?

– ის, რომ მაჟორიტარული არჩევნები მხოლოდ 2020 წლისთვის გაუქმდება.

– ამ დათმობის სანაცვლოდ „რესპებმა“ რა შეიძლება მიიღონ?

– რა და, – აღმასრულებელ ხელისუფლებაში კიდევ რამდენიმე ადგილი, მათ შორის, შსს-ს გაყოფის მერე, შს ახალი მინისტრი, ჩემი ინფორმაციით, „რესპუბლიკელი“ იქნება, შსს-ს დღევანდელი მინისტრი, ვახტანგ გომელაური კი, უშიშროების უწყებას უხელმძღვანელებს. ყველაფერ ამით კი, ისევ და ისევ, ხელისუფლების პროდასავლური ფრთა გაძლიერდება, რაც იმის გარანტია იქნება, რომ 2016 წლის არჩევნებით, ხელისუფლებაში პრორუსული ძალები ვერ მოვლენ, ანუ ეს ჩვეულებრივი პრევენციაა, თორემ თუკი ისე მოხდებოდა, რომ „რესპუბლიკელები“ არჩევნების წინ „ოცნებას“ დატოვებდნენ, ახალი კოალიცია შეიქმნებოდა და „ოცნება“ უმრავლესობას დაკარგავდა...

– ბატონო კოტე, თქვენი კოლეგების უმრავლესობის პროგნოზით, „ოცნება“, „რესპუბლიკელები“ რომც არ გამოეყონ, 2016 წელს უმრავლესობას მაინც ვეღარ მოიპოვებს...

– დიახ, პირველ ადგილზე გავა, მაგრამ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს. ამიტომ, უპრიანი იქნება, პარტია „ქართული ოცნება“ და „რესპუბლიკელები“ ერთ პარტიად ჩამოყალიბდნენ.

– ეს როგორ? წარმოუდგენელია, „რესპუბლიკური პარტია“ რომ გაუქმდეს.

– რატომ „რესპუბლიკური პარტია“? „ქართული ოცნება“ „რესპუბლიკელებს“ შეერწყას, ანუ „რესპუბლიკური პარტიის“ სახელწოდებაში ერთი ახალი სიტყვა გაჩნდეს. ამით ხელისუფლების წინააღმდეგ შავი პიარი, პროდასავლური არააო, საბოლოოდ დამთავრდება და აღარც იმარჩიელებენ, აი, „რესპუბლიკელები“ კოალიციიდან გასვლას აპირებენო. თუკი ეს შერწყმა მოხდა, პოლიტიკურ ველში სიტუაცია საბოლოოდ დალაგდება, პროდასავლური ორიენტაციის ძალებიც უფრო გაძლიერდებიან და პრორუსული სეგმენტის საფრთხე განეიტრალდება.

– ეს სქემა ამერიკელების შედგენილია თუ, ვთქვათ, ჩვენი ყოფილი პრემიერის?

– აქ ცენტრალური ყოფილი პრემიერია, ანუ პროდასავლური ინტერესების გამომხატველი ინექცია სწორედ ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ივანიშვილის „რუს ოლიგარქობაზე“, ან მისი მხრიდან რუსული პოლიტიკის გატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია! ყოველ შემთხვევაში, ის ნაბიჯები, რასაც თავის მიერვე მოყვანილი ხელისუფლების მისამართით დგამს, მოწმობს, რომ ყველაფერი საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენაა მიმართული!

– ჩვენც ეგ გვინდა, კოტე ბატონო, მაგრამ წელან, ვიდრე ფირჩამწერს ჩავრთავდი, მითხარით, რომ უმრავლეობის ბოლო დახურულ სხდომაზე გარკვეული ხმაური იყო. რას გულისხმობდით?

– ვერ ვიტყვი, რომ საქმე ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდა, მაგრამ როგორც ვიცი, პრემიერსა და კოალიციის „რესპუბლიკურ“ ფრთას შორის, დაძაბული საუბარი შედგა.

– რის გამო?

– საუბარი აღმასრულებელი ხელისუფლების გადანაწილებას შეეხებოდა. დღეს „ქართულ ოცნებას“ უფრო სჭირდება „რესპუბლიკური პარტია“, ვიდრე პირიქით. ამიტომ, „ქართული ოცნების“ ელიტამ რაღაცები დათმო...

– სხვათა შორის, მაჟორიტარული სისტემის გაუქმების გარდა, ყოფილმა პრემიერმა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი განცხადება გააკეთა. ივანიშვილის თქმით, ხალხს მიშას დაჭერა აღარ აინტერესებს...

– მიშა, როგორც პოლიტიკური ფიგურა, ჩამოწერილია!

– კაცი ოდესის ოლქის გუბერნატორია და „ჩამოწერას“ ამას ეძახით?

– დიახ. სხვა თუ არაფერი, საქართველოს მოქალაქეობა დაკარგა.

– მერე რა?

– ეს ტესტია.

– რისთვის, ან ვისთვის?

– პრეზიდენტისთვის – თუკი მარგველაშვილი სააკაშვილს ორმაგ მოქალაქეობას მიანიჭებს, ამით თავს დაიღუპავს.

– თუ საქმე დაღუპვაზეა, მაშინ რა ვუყოთ ყოფილი პრემიერის ზემოხსენებულ განცხადებას, ხალხს მიშას დაჭერა აღარ აინტერესებსო?

– თუკი ხალხს მიშას დაჭერა აღარ აინტერესებს, აბა, იმ 9-წლიან რეჟიმზე პასუხი ვინ უნდა აგოს? როცა სამოქალაქო სექტორში ხარ, შეიძლება, ასეთი განცხადება გააკეთო, მაგრამ „ქართული ოცნების“ მიმართ ხალხის ძირითადი შეკვეთა მიშას რეჟიმის გასამართლება იყო. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, დღეს ხალხის შეკვეთა უკვე სხვა რამეა, თუმცა არსებობს სამართალი. დამნაშავის დაუსჯელობა კი, უსამართლობაა, ანუ თუ დანაშაულია ჩადენილი, უნდა გამოაშკარავდეს, მაგრამ მიშას ბრალდება მანტო-პალტოზე, ვიღაც დოქტორის ჩამოყვანასა და სხვა სისულელეებზე კი არ უნდა წარუდგინონ, არამედ, მისი საქმიანობა უფრო დეტალურად უნდა შეისწავლონ!

– იქნებ, ყველაფერი თავიდანვე იყო გადაწყვეტილი, ანუ მიშას დაჭერას არც არავინ აპირებდა და, უბრალოდ, ჭიქაში ქარიშხალი ატეხეს?

– არ ვიცი... მჯერა, რომ მიხეილ სააკაშვილს, ადრე თუ გვიან, საბრალდებო სკამზე დაჯდომა მაინც მოუწევს. ზემოხსენებული განცხადება კი, შეიძლება, მიშას დამშვიდებას ემსახურებოდა, რომ „ნაცმოძრაობა“ თავის წნეხისგან საბოლოდ გაათავისუფლოს!

– მიშა პარტიის თავმჯდომარე აღარაა, შესაბამისად, „ნაცმოძრაობა“ თავისუფალია!

– ვიდრე საქართველოს მოქალაქეობა ოფიციალურად არ შეუწყდება, მიშა „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარე იქნება! საერთოდ, პარტიის იურიდიული საქმიანობისთვის – ჩარიცხვები და ასე შემდეგ, ნებართვას პარტიის თავმჯდომარე იძლევა. მიშას, ასე ვთქვათ, გადადგომის შემდეგ კი, პარტიას უფლებამოსილი პირი აღარ ეყოლება.

– ეს რა პრობლემაა? – პარტია ახალ თავმჯდომარეს აირჩევს!

– საამისოდ ყრილობის ჩატარებაა საჭირო!

– ჩაატარებენ...

– დიახ, მაგრამ ყრილობამდე პარტია უფლებამოსილი პირის გარეშეა დარჩენილი – თავმჯდომარემ უცხო ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, აღმასრულებელმა მდივანმა „ნაცმოძრაობა“ დატოვა, გენმდივანი ციხეშია.

– ისე, ცოტა უცნაურია: თუკი საქართველოში დაბრუნებას, თუნდაც, რევანშით აპირებს, მიშას ოდესის გუბერნატორობა რისთვის დასჭირდა?

– სააკაშვილის მთავარი ამოცანა საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობის გაფუჭებაა!

– ოდესის გუბერნატორობით ამას როგორ მიაღწევს?

– ოდესის პორტი ერთადერთია, რომლითაც საქართველო ექსპორტ-იმპორტზე მუშაობს. ამ ცენტრალურ კარიბჭეზე „ოცნების“ ხელისუფლების მთავარი მოწინააღმდეგე „ზის“, რომელიც, რაღა თქმა უნდა, დაბრკოლებებს შექმნის, ანუ საზღვარზე კონტროლს გაამკაცრებს და უკრაინიდან ექსპორტისთვის ხელოვნურ ბარიერებს შექმნის, რაც ქართულ ეკონომიკას პირდაპირ დაარტყამს, მით უმეტეს, თუკი ეს ვითარება შემოდგომამდე გაგრძელდა – აჭარიდან

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

10 – 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 2015

№ 23 (287)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ციტრუსი ძირითადად სწორედ უკრაინაში გააქვთ და წარმოიდგინეთ, ხალხს ციტრუსი რომ დაულპეს, ამას რა უკმაყოფილება მოჰყვება?!

– კოტე ბატონო, ერთობ აპოკალიფსური სურათი დახატეთ, თუმცა ყველაფერ ამის ფონზე, მგონი, ლოგიკური შეკითხვა ჩნდება: პოროშენკომ მიშას ოდესის გუბერნატორად დანიშვნით საქართველოს ფარული ეკონომიკური ომი გამოუცხადა?

– საქართველო-უკრაინის ურთიერთობების გართულება წყალს რუსეთის წისქვილზე ასხამს.

– ზოგი თვლის, რომ პოროშენკოს მიშას გაგუბერნატორება მაკკეინმა აიძულა...

– საქმე იძულებაზე არაა. უბრალოდ, პოროშენკო, ბოლო მომენტებიდან გამომდინარე, გაღიზიანებულია.

– ანუ?

– სააკაშვილი პირდებოდა, რომ აშშ უკრაინას ლეტარულ იარაღს მიაწვდიდა. იმაზეც იყო ლაპარაკი, რომ იარაღის მიწოდება საუდის არაბეთის გავლით მოხდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს ჩაიშალა და სააკაშვილი არაფრის გამკეთებელია და მისი განცხადებები მხოლოდ პიარს უკავშირდებოდა, მაგრამ ხელის ერთი მოსმით ვერ მოიცილებდა.

– საუბარი იქითკენ მიგყავთ, რომ სააკაშვილს გუბერნატორობას მალე დაატოვებინებენ?

– დაატოვებინებენ კი არა, არ გამოვრიცხავ, თავი რომ გადაირჩინოს – თავისმა ხალხმა პრორუსულობა არ მიაწებოს და საბოლოდ გაემიჯნოს, პოროშენკომ მიშა საქართველოს გადმოსცეს!

ვანო, რა ამის პასუხია და, ჩემი ინფორმაციით, მიშას რამდენიმე მცდელობა ჰქონდა, რომ ოდესაში თავმოყრილ ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებს შეხვედროდა. ჩემი წყაროს ინფორმაციით, მიშას ამ ხალხის გამოყენება უნდა... სააკაშვილმა ძალოვანებთან თათბირზე განაცხადა, რომ ოდესა კრიმინალებისგან უნდა გაიწმინდოს, რაც ყველა ქართველი კრიმინალის გამოგდებას გულისხმობს, ანუ ოდესამ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები საქართველოს გადმოსცეს და მერე, „ნაციონალები“ აგნიასდებიან, აი, „ოცნება“ ქურდებს მფარველობსო. საგულისხმოა, რომ ოდესაში ძალიან ბევრი ქართველი ქურდია... მოკლედ, მიშამ „კანონიერ ქურდებს“ შეუთვალა, თუ საქართველოსთან მიმართებაში ჩემთან არ ითანამშრომლებთ, ოდესას თქვენგან გავწმენდო.

– „საქართველოსთან მიმართებაში თანამშრომლობა“ რას ნიშნავს?

– სააკაშვილს უნდა, რომ ჩვენთან კრიმინალები გააქტიურდნენ.

– კრიმინალები თანამშრომლობაზე დასთანხმდნენ?

– არ ვიცი, ეს მალე გამოჩნდება, ანუ თუ ოდესაში ქართველი კრიმინალური „ავტორიტეტების“ მასობრივი დაჭერა დაიწყო, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მათსა და სააკაშვილს შორის გარიგება არ შედგა. თუ გარიგება შედგება, მაშინ, როგორც აღვნიშნე, ქვეყანაში კრიმინალური ვითარება უფრო დაიძაბება და ყველაფერ ამას ხელისუფლების საწინააღმდეგო პიარი მოჰყვება, მაგრამ ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ საქართველოსთვის ოდესაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი დიდი გამოწვევა და საფრთხეა. ამას ჯობდა, კიევში დარჩენილიყო.

...მიშას წინადადებას შეიძლება, ის კრიმინალები დასთანხმდნენ, რომლებსაც გივი თარგამაძე, ასე ვთქვათ, აკონტროლებს, მაგალითად, ლაშა შუშანაშვილის ხალხი. სხვათა შორის, შუშანაშვილი პირდაპირ პუტინის ოჯახთანაა დაკავშირებული – შავ ბიზნესში საერთო ინტერესი ჰქონდათ.

– ისე, არსებობს ინფორმაცია, რომ „ვარდების რევოლუციის“ დროს სააკაშვილის ინტერესებს ტარიელ ონიანი „ამაგრებდა“.

– დიახ, რა თქმა უნდა...

– შაქრო კალაშოვი კი, როგორც არერთხელ გითქვამთ, სააკაშვილის არ იყოს, იარაღის უკანონო ბიზნესშია ჩართული...

– დიახ, კალაშოვიც...

– ჰოდა, თუკი ქურდებზე იდგა, მიშა კრიმინალებს რატომღა ებრძოდა?

– მათ ებრძოდა, ვისაც ვერ აკონტროლებდა...

...ისე, რუსეთს კიევის აღება მაინცდამაინც არ უნდა. მისთვის მთავარი დნეპროპეტროვსკის ოლქია, რომლის გუბერნატორსაც ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა – კალამოისკი მოხსნეს. არადა, პროდასავლურ და მემარჯვენე ძალებს სწორედ ის აფინანსებდა. ოდესის ოლქი კონფლიქტის ზონასთან ძალიან ახლოსაა და თუკი ოდესის პორტი რუსების ხელში ჩავარდა, უკრაინა, პრაქტიკულად, პორტის გარეშე დარჩება.

– ამის ალბათობა არსებობს?

– დიახ, არსებობს.

– მაშასადამე, იზიარებთ ვერსიას, რომ სააკაშვილი ოდესას კრემლს „ხონჩით მიართმევს“?

– მთლად ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ...

– სააკაშვილი ანაკლიის პროექტის ხორცშესხმას ოდესაში აპირებს და ამტკიცებს, მალე ოდესა შავი ზღვის აკვატორიაში ყველაზე მაგარი საპორტო ქალაქი იქნებაო...

– ეს გამორიცხულია!

– რატომ?

– იმიტომ, რომ ყველაფერ ამას დიდ თანხა და დასავლური ინვესტიციები სჭირდება. ოდესა კი, საქართველო არაა, სადაც დასავლეთისთვის დემოკრატიის შუქურად ცობილ მიხეილ სააკაშვილს მილიარდები მოსდიოდა – გავიხსენოთ 2005 წელს, „მილენიუმის“ პროგრამთ შემოსული ერთმილიარდიანი დახმარება, ასევე, სხვა დახმარებები, ინვესტიციები თუ ტრანშები. საბოლოო ჯამში, სააკაშვილმა, პრეზიდენტობისას, 7 მილიარდზე მეტი მიიღო...

– ბატონო კოტე, უჭკუო ადამიანს არ ჰგავს და, დავიჯერო, თუკი თქვენ ყველაფერი ეს გათვალეთ, პოროშენკო ვერაფერს ხვდება?

– რომ მიხვდა, ოდესის გუბერნატორად ამიტომაც დანიშნა – პოროშენკომ მიშა მოიცილა!

– ისე, ერთ-ერთი ბოლო გამოსვლისას, სააკაშვილმა, პრაქტიკულად, ღიად თქვა, რომ საქართველოში დაბრუნდება...

– ეს მესიჯი საფრთხის შემცველია. მიშას შეიძლება, ხანდახან რაღაც წამოსცდება ხოლმე, მაგრამ გათვლილ ნაბიჯებს დგამს...

– სააკაშვილმა ისიც თქვა, „ოცნებამ“ სუს-ის თანამშრომლები გამომიგზავნა, რომლებიც დაიჭირესო...

– თვალთვალს სუს-ი კი არა, დაზვერვა აწარმოებს. ასე რომ, ეს ტყუილია!

სხვათა შორის, სააკაშვილმა ე.წ. მოქმედების კომიტეტების შექმნაზეც ისაუბრა. ეს, პრაქტიკულად, საგაფიცვო კომიტეტებია, რომლის სისრულეში მოყვანასაც დიდი ფული სჭირდება. გამორიცხული არაა, რომ სააკაშვილმა ოდესაში „მოღვაწე“ კრიმინალური „ავტორიტეტები“ სწორედ ამ მოქმედების კომიტეტების მართვისთვის გამოიყენოს და ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერები შექმნას. ამ ფონზე „ნაცმოძრაობას“ ახალი პიარის და, შესაბამისად, ქულების დაწერის საშუალება მიეცემა. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში 17 პროცენტიც რომ აიღოს, ეს პარლამენტში ერთი ფრაქცია და იმის ნიშანი იქნება, რომ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ველიდან, პრაქტიკულად, გაქრება, რასაც სააკაშვილი არ შეეგუება...

– ...ბატონო კოტე, რამდენიმე დღის წინ, თავდაცვის მინისტრმა, თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, ოქროყანაში ოთახისხელა მოწყობილობა აღმოვაჩინეთ, რომლითაც „ნაციონალები“ პირდაპირ ბიძინა ივანიშვილს უთვალთვალებ-უსმენდნენო... მახსოვს, ამას წინათ, ფარული მოსასმენის არსებულზე თქვენც ისაუბრეთ...

– ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ცნობილი იყო, რომ რადიოელექტრონული ბრძოლის ქვედანაყოფი მოსმენებს სწორედ ოქროყანიდან ახორციელებდა...

– შეიძლება, მაგრამ რა საფუძველია, ითქვას, რომ ამ აპარატურით „ნაციონალები“ მაინცდამაინც ივანიშვილს უსმენდნენ?

– ალბათ, მტკიცებულებები აქვთ... სხვათა შორის, ოქროყანიდან ბიძინა ივანიშვილის სახლი ხელისგულივით ჩანს. არ დავაკონკრეტებ, მაგრამ ასეთი მოსასმენი აპარატურა საქართველოში ბევრია, მათ შორის ისეთიც, რომლითაც ერთდროულად, 300 სუბიექტის მოსმენა შეიძლება...

– „თავისუფალი დემოკრატები“ ე.წ. კაბელების საქმეში პირველ გამარჯვებას ზეიმობენ და ამბობენ, რომ პროკურატურამ კრახი განიცადა, რაც სასამართლოს მიერ მტკიცებულებების არმიღებაში გამოიხატება...

– პროკურატურამ კრახი არაერთ, მათ შორის, იური ვაზაგაშვილისა და ბესო ხარძიანის საქმეშიც განიცადა.

– თუკი დამტკიცდა, რომ „კაბელების საქმე“ მიზანმიმართულადაა შეკერილი, რა მოხდება?

– მათი, ვინც შეკერეს, პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. იმ შემთხვევაში კი, თუ გამოიკვეთა, რომ საქმე გაყალბებულია, პოლიტიკურთან ერთად, სხვა სახის პასუხისმგებლობაც დადგება...

– ...კოტე ბატონო, წეღან 1998 წლის 9 თებერვალს, ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტიც ახსენეთ...

– პიროვნებამ, რომელმაც იცოდა, რომ ტერაქტი მზადდებოდა, საფლავში დიდი საიდუმლო წაიღო.

– ვერ ვხვდები, რას ამბობთ...

– ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის მაშინდელი ხელმძღვანელისთვის, რამდენიმე დღით ადრე იყო ცნობილი, რომ ედუარდ შევარდნაძეზე ტერაქტი იგეგმებოდა. მეტიც, ისიც იცოდა, ტერაქტში მონაწილეობას ვინ მიიღებდა. ყველაფერი მას შემდეგ „გასკდა“, რაც მისმა ერთ-ერთმა მოადგილემ ეს ინფორმაცია მაგიდაზე ნახა. ტერაქტის შემდეგ, ეს მოადგილე დაიჭირეს...

– ვისზე ლაპარაკობთ?

– ერთ-ერთ პოლკოვნიკზე, რომლის გვარსაც არ დავასახელებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კორუფციის შეთითხნილი ბრალდებით დაიჭირეს.

– როგორც ვხვდები, იმის თქმა გინდათ, რომ 9 თებერვლის ტერაქტის აღკვეთა შეიძლებოდა, არა?

– დიახ, შეიძლებოდა, რადგან სპეცსამსახურს მოსალოდნელ ტერაქტზე ინფორმაცია, მინიმუმ, ორი დღით ადრე ჰქონდა, მაგრამ შევარდნაძე გაწირეს.

– ვინ და რატომ?

– ვინ და, – რუსულმა ძალებმა! სხვათა შორის, ცნობილია, რომ აფეთქების შემდეგ შევარდნაძემ შს მაშინდელ მინისტრს, კახა თარგამაძეს დაურეკა და ჰკითხა, რა ხმაური იყო, რა ხდებაო, მან კი უპასუხა, არ ვიცი, გავარკვევო... მოკლედ, მაშინ შევარდნაძე საკუთარმა სპეცსამსახურებმა გაწირეს და ღმერთმა გადაარჩინა!

სხვათა შორის, ამ ტერაქტში მონაწილე ერთი ჩეჩენი, მუსტაფა ზურგში მოხვედრილი ტყვიის შედეგად გარდაიცვალა. მოგვიანებით, ჩეჩენმა საველე მეთაურმა, სარმან რადუევმა განაცხადა, ტერაქტი ჩემი ორგანიზებული იყოო, თუმცა სინამდვილეში, ყველაფერი სხვანაირად მოხდა და ვიღაცას უნდოდა, რომ ტერაქტი ჩეჩნებისთვის „მიეება“. შევარდნაძემ მასხადოვს დაურეკა და, როგორც ვიცი, ღია ტექსტით უთხრა, ყველაფერი კარგად ვიცი და მომხდარი ჩვენს ურთიერთობას ვერ დაძაბავსო, თუმცა შევარდნაძე ისე გარდაიცვალა, რომ მისთვის არავის უთქვამს, რომ ტერაქტის თაობაზე სპეცსამსახურმა რამდენიმე დღით ადრე უწყოდა...

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი
(თემის გაგრძელება იქნება)

„ოდესის პორტი ერთადერთია, რომლითაც საქართველო ექსპორტ-იმპორტზე მუშაობს. ამ ცენტრალურ კარიბჭეზე „ოცნების“ ხელისუფლების მთავარი მოწინააღმდეგე „ზის“, რომელიც, რაღა თქმა უნდა, დაბრკოლებებს შექმნის, ანუ საზღვარზე კონტროლს გაამკაცრებს და უკრაინიდან ექსპორტისთვის ხელოვნურ ბარიერებს შექმნის, რაც ქართულ ეკონომიკას პირდაპირ დაარტყამს, მით უმეტეს, თუკი ეს ვითარება შემოდგომამდე გაგრძელდა – აჭარიდან ციტრუსი ძირითადად სწორედ უკრაინაში გააქვთ და წარმოიდგინეთ, ხალხს ციტრუსი რომ დაულპეს, ამას რა უკმაყოფილება მოჰყვება?!“

4 | № 23 (287) | 10 – 16 ივნისი 2015

ქართული ენა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲜᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

„ნაციონალებს“ შედგენილი აქვთ ადამიანების სია, რომლებიც უნდა გაანადგურონ!“

კარგა ხანია, ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი უკრაინიდან გვმოძღვრავს – 2 ივნისს, ოდესის ოლქის გუბერნატორმა, მიხეილ სააკაშვილმა ოლქის მთავარ პროკურორად ზურაბ ადეიშვილი დანიშნა. ადვოკატი ელზა ჯმუხაძე „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ამბობს, რომ უკრაინაში მყოფი „ნაცების“ ფარული გეგმები იცის. ამასთან, სხვა მწვავე თემებს შიფრავს:

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ ᲔᲚᲖᲐ ᲯᲛᲣᲮᲐᲫᲔ ᲔᲭᲕᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ „ᲥᲝᲪᲔᲑᲗᲐᲜ“ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲗᲔᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ

– უცებ დონ კიხოტი გამახსენდა... ისიც ხომ გიჟი იყო?! შეურაცხყოფად ნურავინ მიიღებს და, გიჟები მიყვარს, რადგან არაორდინალურები არიან და საინტერესო ფსიქიკა აქვთ. მიხეილ სააკაშვილიც გიჟია და ქარიზმატული. ამიტომაც, ეს სიგიჟე მისი პლუსია. 7-8 წლის წინ, მიშაზე ცნობილი ფსიქიატრიული კლინიკების დასკვნა „დაიდო“, რომელიც მისი ჟესტებითა და მიმიკების შესწავლით გამოიტანეს. პასუხიც რეალური და მოსალოდნელი იყო – მიშა ნორმაში არაა. რაც გინდა იყოს, ამ კაცმა თავი უკვე ყველას მოაბეზრა. ისინი, ვისთან ერთადაც სააკაშვილმა საქართველო დაანგრია და გაამწარა, უკრაინაშიც გვერდით მოისვა და იქაურობის დამხობას შეუდგნენ. ოდესის გუბერნატორობა მიშასთვის, რა თქმა უნდა, საუკეთესო ადგილი არ არის, მაგრამ უკვე ბევრგან აღარ დაედგომება. ამიტომაც იქაა, სადაც მისი ყოფნა შედარებით კომფორტულია, თან ხელისუფლებაში ყოფნის გარეშე არ შეუძლია. ერთი სიტყვით, დონ კიხოტს რომ გმირობის სურვილი ჰქონდა, ის ნამდვილი, სუფთა და მართალი კაცი იყო. მიშას კი, გმირობა უნდა, მაგრამ კეთილ სურვილებს ნამდვილად არ ემსახურება და, საბოლოოდ, ვირობა უფრო გამოსდის.

– თქვენი აზრით, მიშა ვის ან რას ემსახურება?

– მიშას „კა-გე-ბე“-ს სკოლა აქვს დამთავრებული. ყოფილი „კაგებეშნიკი“ არ არსებობს! ნახეთ, იმდენს მიაღწია, რომ რუსეთს საზღვარი გადმოაწევინა. თუ შეკრული იყო, ძალიან ჭკვიანი და გაიძვერა ყოფილა, თუ ამდენი „იყროყინა“ და მაინც ვერაფერს მიხვდა, მაშინ – ძალიან ბრიყვი. დაჭერის ეშინოდა და უკრაინის მოქალაქეობა მიიღო, მაგრამ მიშა თუ სუფთაა და მართლაც, საფრთხეს არ წარმოადგენს, მაშინ რატომ არ მისცა მოქალაქეობა მისმა ნაქებმა აშშ-მ, ან ევროპამ?

– მიშა რას ამბობს, რატომო?

– ჰკითხა ვინმემ? – არავის უკითხავს.

– ქალბატონო ელზა, რომ ჰკითხოთ, ლოგიკურია, იტყვის, ყველაზე მეტად აქ ვჭირდები ჩემს უკრაინას და სამშობლოს, რადგან ორივეს ბედი ერთად წყდებაო...

– კარგი, რა?! ბოლოს და ბოლოს, ჰოლანდიელი ცოლი ჰყავს და პირდაპირი საფუძველი გააჩნია, ჰოლანდიაში მოქალაქეობა მოითხოვოს. ბექა, გჯერა, რომ რომელიმე უცხო ქვეყნის მოქალაქეობა არ მოითხოვა? რატომ არ აძლევენ?.. მთლიანად უარყოფითი პერსონაჟია და ყველგან, ყოველთვის და ყველასთვის გამუდმებით პრობლემებს ქმნის!

ევროპა და აშშ კანონს პატივს სცემენ. ამიტომ, საქართველოში ამა თუ იმ ნიშნით ძებნილ სააკაშვილს მოქალაქეობას, ბუნებრივია, არ აძლევენ. უკრაინას კი როგორ აიძულეს ამის გაკეთება და რა მოხდა, ეს უკვე ცალკე საკითხია. მგონია, უკრაინას დაავალეს, რომ მიშა იქ ჰყავდეს

– ვინ დაავალა?

– ეგ რომ ვიცოდე, მსოფლიოს მმართველ ათეულში ვიქნებოდი. ყოველ შემთხვევაში, მიშა უკრაინაში „დააყენეს.“

– მიშას იქ „დაყენებით“, უკრაინამ რა შედეგი მიიღო?

– უკრაინის მოქალაქეა და თანამდებობა მიიღო. მე თუ მკითხავთ, ის, რაც უკრაინამ გააკეთა, ჩვენი შეურაცხყოფა და არაფრად ჩაგდებაა. ესეც შენი შედეგი! მე რომ შენი ძებნილი ჩემი ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიყვანო, თუ ნამუსი გაქვს, ყველაზე მცირე, უნდა განაწყენდე.

ერთია საინტერესო: იანუკოვიჩზე მთელი ამბები რომ იყო ატეხილი, კორუმპირებულიაო... ეგ იანუკოვიჩი არ იყო, მიშას საქართველოში დღე და ღამე რომ ჰყავდა, ჩემი პირველი ძმაკაცია და ამაზე კარგი კაცი არ არსებობსო? რატომ არავის ახსოვს?! ვიცი, რომ პოლიტიკაში მუდმივი მტრები და მუდმივი მოკავშირეები არ არსებობენ, მუდმივი მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნვაა, მაგრამ როდესაც პოზიციას ასე უცბად და უკიდურესად იცვლი, ყველაფერი აშკარაა – მასზე უკეთესი და მართალი არაფრით ხარ...

– მიხეილ სააკაშვილის ამჟამინდელი მეგობარი პოროშენკოა...

– ზუსტადაც. სააკაშვილი ახლა ოლიგარქებს რომ ებრძვის, ბიძინა ივანიშვილზე გამწარებულია და იძახის, ქონება უნდა ჩამოვართვაო, ვისზე ნაკლები ოლიგარქია პოროშენკო, რომელსაც რუსეთში დღემდე მოქმედი აქტივები აქვს? ახლა მიშას მასთან მეგობრობა აწყობს და ივანიშვილზე გამწარებულია, რადგან დამარცხდა. ჯერ ერთი, ბიძინას საკუთრება და საკუთარი შრომით ნაშოვნი ქონება როგორ უნდა ჩამოართვას, თუმცა ვაღიარებ, მიშას ამის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს: რამდენ ადამიანს წაართვა ყველაფერი და ისინი დღესაც სამართლიანობის აღდგენას ელიან... ამ კაცმა საქართველო გადაძოვა და ახლა უკრაინაში გადავიდა, რათა იქ აკეთოს ფული, თან ერთი რამეა: ოდესელთა კონტიგენტი რომ გავითვალისწინოთ, მისი იქ ყოფნა ისეთი სახიფათოა, რომ დედამისის ადგილზე, მე გული გამისკდებოდა.

– კრიმინალურ მენტალიტეტს გულისხმობთ?

– თუნდაც... თუკი მისი ნულოვანი ტოლერანტობა სიმართლე იყო და არა – მორიგი სპექტაკლი, თუ ის, მართლაც, ებრძოდა ამ დასაგმობ მენტალიტეტს და ამის საპირისპიროდ, არჩევნებში სიტუაციის დასალაგებლად უცხოეთში შეხვედრებს არ მართავდა, თუ მიშა კრიმინალებს არაფერს ერჩოდა და გაითამაშა, მაშინ კარგ ადგილას, თავის ძმებთან მისულა.

– ქონების წართმევაზე გამახსენდა, მიშამ განაცხადა, ჩემი ლეგენდარული 19 მილიარდი ვერ წამართვეს, რადგან არ მაქვს, არც მქონია და ვერც მიპოვესო. როგორ ფიქრობთ, ყოფილმა პრეზიდენტმა ის „მილიარდები“ ხალხის ჯიბესა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან წაიღო?

– ბექა, კარგი, რა... არსებობდა ასეთი ორგანიზაცია – შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფა“. მხოლოდ ერთ კაცს გეტყვი, შოთა მამიაშვილს, რომელსაც „სახელმწიფო უზრუნველყოფამ“ 50-მილიონიანი ქონება წაართვა და 7 წლით ციხეში გამოკეტა. აი, ასე მუშაობდა ეს ორგანიზაცია. ეს ფული სხვაგან არსად მიდიოდა და „მიშას ჯიბეს“ ეძახდნენ. ამის გამოძიებაც ვერავინ მოიფიქრა... ერთი საქმე მაინც გამოიძიონ და მიხვდებიან, თუ რა ფული აქვს მიშას.

– უკრაინაში მყოფი „ნაციონალების“ უახლოესი მიზანი რა არის?

– ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც უკრაინაში მათ თავყრილობებს შეესწრნენ და მოისმინეს, თუ რას ლაპარაკობდნენ და გეგმავდნენ სააკაშვილის თამადობით. შედგენილი აქვთ ადამიანების სია, რომლებიც უნდა გაანადგურონ და რომლებზეც შური იძიონ, როცა აქ ჩამოვლენ.

– მიშამ „არჩევანში“ განაცხადა, დაჭერების, შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის დრო არ არის, ქვეყანაა მისახედიო...

– აი, სწორედ მანდ მივდივარ: შიდა სამზარეულოში ისეთი მძიმე და საშინელი გეგმები აქვთ დასახული, რომ მე, პირადად ელზა ჯმუხაძე, თუ ეგენი მობრუნდებიან, ჰაერში იქიდან უნდა ავფრინდე, სადაც ვიქნები! საშინელებას გეგმავენ და დაატრიალებენ, თუ საშუალება მიეცათ.

– ეს საიდან იცით?

– იმ ადამიანებისგან ვიცი, რომლებიც პირადად იყვნენ მათ შეკრებებზე. სახელებსა და გვარებს ვერ დავასახელებ, უფლება არ მაქვს.

– ისე, სააკაშვილმა პირადად თქვენ რამე დაგიშავათ?

– პირადად ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ ჩემს საახლობლოში ოჯახი არ დატოვეს, რომელიც არ გაამწარეს და არ დაიჭირეს.

– ყოფილი პრეზიდენტის ახლანდელი მოწოდებები ისევ ჩვენს მოტყუებას ემსახურება?

– რა თქმა უნდა. „ნაცმოძრაობიდან“ წამოსული ოთხეულით დავიწყოთ: მიშას რომ არ სდომოდა და შეთანხმებული არ ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, რომელიმე გაბედავდა ამ ნაბიჯის გადადგმას? სიტყვა „ნაცმოძრაობა“ ხალხს უკვე აღიზიანებს. ახლა, წავლენ და დაირქმევენ, ვთქვათ, „გვირილას“, ან „ედელვაისს“ და მოვლენ უკან. ხალხსაც მოკლე მეხსიერება აქვს... რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიქნები და რა მერქმევა? მთავარია, ვინ ვარ!

– ჰოდა, ქალბატონო ელზა, სწორედ ამას ამბობენ, სახეშეცვლილი „ნაციონალები“ დაბრუნდებიანო...

– სავლე პავლედ გადაიქცა? – ვერა! ხალხი არ უნდა მოტყუვდეს! სად დაიკარგნენ „ნაცების“ ცნობილი სახეები, სადაა გიგა ბოკერია, რატომ აღარ ჩანს? არჩევნები მოდის და სურთ, რომ ხალხს წყენამ გადაუაროს და თვალში არ ეჩხირებიან. ნეტავ, მიშა რას იზამდა, მის მიერ რომელიმე ძებნილი სხვა ქვეყანაში თანამდებობაზე რომ დაენიშნათ?

– ქალბატონო ელზა, იმაში, რასაც ხელისუფლებაში ყოფნისას აკეთებდა, მიშა ახლა „ოცნების“ ხელისუფლებას ადანაშაულებს... რატომ გიკვირთ?

– აი, თვითონ მიხვედი იქ, რისი თქმაც მინდოდა. არ მიკვირს! ვიმეორებ: მინდა, ეს ხალხმა დაინახოს და არ მოტყუვდეს.

– მაგალითად, მარიხუანას დეკრიმინალიზაცია ავიღოთ. როდესაც ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობა“ იყო, ნულოვანი ტოლერანტობით, მარიხუანას მოხმარების გამო, მრავალი ახალგაზრდა, რამდენიმე წლით, ციხეში გაუშვეს. ახლა კი, მთავრობას დეკრიმინალიზაციისკენ მოუწოდებენ... იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ნაცებსა“ და საზოგადოებას ერთი და იგივე აზრები და პრიორიტეტები აქვთ. შესაბამისად, ხალხის გულს იგებენ. ეს მხოლოდ ამ კონკრეტულ პრობლემას არ ეხება...

– ხანდახან, ტელევიზორს რომ ჩავრთავ, ისეთი ამბავია, მარიხუანას პროპაგანდა მგონია. ვეთანხმები, რომ ამის გამო ადამიანს ციხეში არ უნდა უშვებდნენ. კი, არაა კარგი, მაგრამ არც მეორე უკიდურესობაში უნდა გადავცვივდეთ... ამდენი ჯარიმა სად უნდა წავიდეს? – ნარკოდამოკიდებული ადამიანების განკურნებას უნდა მოხმარდეს. ამით ისინი თავს, ასე ვთქვათ, თავად დაიფინანსებენ. „ნაციონალებს“ ნამდვილად არ ამოეღებათ ხმა არც ამ კონკრეტულ პრობლემაზე და არც – ბევრ სხვა რამეზე. სწორედ ისინი იყვნენ ყველაზე არაჰუმანურები და არალიბერალები. ახლა გამოდიან და სხვას ლანძღავენ.

– ხალხი ამას ვერ ხვდება?

– როგორ ვერ ხვდება, ძალიან კარგადაც ხვდება, მაგრამ ხალხს ვინ ეკითხება? ხალხის გადაწყვეტილება ერთ დღეს მიიღება და ამ დღეს არჩევნები ჰქვია, თუ კარუსელებითა და მრავალი ასეთი რაღაცით არ გაუყალბეს. ეს ტექნოლოგიებიც „ნაცების“ მოგონილია. არჩევნების გზით, მშვიდად და ცივილურად უნდა მოხდეს ყველაფერი, როგორც 2012-ში მოხდა და ახალმა ხელისუფლებამ ძველს „თავი არ გაუტეხა“.

– „ოცნების“ ხელისუფლების მთავარ შეცდომად ხალხი სწორედ „ნაცებისთვის“ „თავის არ გატეხვას“ მიიჩნევს...

– ეს ძალიან დაბალი დონის აზროვნებაა. არც თავი უნდა გაუტეხო და თუ სამხილები და კონკრეტული ფაქტები არ გაქვს, არც დააპატიმრო.

– ქალბატონო ელზა, საბოტაჟზეც საუბრობთ და, როგორ ფიქრობთ, ვერ თუ არ აპატიმრებენ?

– საბოტაჟზე რომ ვლაპარაკობ, იმას ვგულისხმობ, რომ ძალოვანებში დარჩნენ ადამიანები, რომლებიც შეგნებულად არ

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-12 ᲒᲕ.

„ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲡ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲕᲠᲗᲐᲕ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲐ, ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ. ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲨᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲙᲘ, ᲐᲠᲐᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲪᲕᲘᲕᲓᲔᲗ... ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲡ? – ᲜᲐᲠᲙᲝᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲓᲔᲡ. ᲐᲛᲘᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲡ, ᲐᲡᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲗᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲘᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲔᲜ. „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ“ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲔᲦᲔᲑᲐᲗ ᲮᲛᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲛ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲪ – ᲑᲔᲕᲠ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔᲖᲔ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲠᲐᲰᲣᲛᲐᲜᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲚᲐᲜᲫᲦᲐᲕᲔᲜ“.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲝᲛᲐᲠ ᲮᲐᲘᲐᲛᲘᲡ ᲠᲝᲑᲐᲘᲔᲑᲘ

(ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲔᲚᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲘ)

143
ზოგმა შეიცნო რწმენის გზები რაისთვის არი,
ზოგმა სიმართლის გზაზე ტყორცნა თვალთა ისარი;
მე ის მაშინებს, უცებ ვინმემ არ შემომძახოს:
„ბრიყვო, შენი გზა არც ეს არი და არც ის არი!...“

144
ცის თაღს რომ იჭერს, ოდითგანვე ერთი ხარია,
მეორე ხარის სამფლობელო მიწის კარია;
გონზე მოდი და თავად ნახავ შენ ამ სიმართლეს -
ამ ორ ხარს შუა ძალზედ ბევრი სახედარია.

145
ცაში რომ მქონდეს მე ღმერთივით ხელი გაწვდილი,
ჩამოვანგრევდი წუთისოფლის გუმბათს ამ დილით,
ახალ გუმბათს კი მე იმგვარად ავაშენებდი,
რომ ღირსეულ კაცს ახდენოდა გულის წადილი.

146
არც მოლხენილი კაცისაგან გეწევა შველა
და არც იმისგან, თვალი ცრემლით ვინც დაისველა;
აქედან წავლენ და უკვალოდ გაქრება ყველა -
გინდ იყოს ყრმა და გინდ სიცოცხლე ვინც დაიძველა.

147
ვინც ღვინის სმას და ლამაზმანთან მოლხენას ძრახავს,
ღვთიურ განგებას უგნურებით თავადვე ლახავს:
თუ ლოთს და მიჯნურს ჯოჯოხეთი თავის წილ სახავს,
მაშინ სამოთხეს მიწიერი ვერავინ ნახავს.

148
ეს გული სევდით და ნაღველით ჭკნება და დნება,
მაშ, მოილხინე, სანამ ლხინის გეძლევა ნება;
არავინ იცის ბედისწერის წესი და ცნება,
მაშ, ღვინო სვი და ლამაზმანთან მოიკალ ვნება.

149
ეს კოშკი ახლა თითქოს ზეცის კიბეს რომ აჰყვა,
შაჰს ეკუთვნოდა და მის ყველა ნებასაც დაჰყვა;
დღეს კი მის კედლებს შემზარავად დასჩხავის ყვავი:
ვინც ნებას დაჰყვა და გადაჰყვა, სიკვდილსაც გაჰყვა.

150
მოსვლა-წასვლაში სარგებელი იმის მსგავსად ჩანს,
უიმედობით დაცლილი რომ სავსის გარსად ჩანს;
ამქვეყნის ბევრი ბინადარი მიწად რომ იქცა,
უცეცხლო ალით იწვება და კვამლი არსად ჩანს.

151
როცა გამოვცლით წუთისოფლის შარბათს მე და შენ,
თითო აგურით შეგვიმკობენ საფლავს მე და შენ;
და მერე, მიწად რომ ვიქცევით, ჩვენც გადაგვზელენ
სხვისი საფლავის აგურებად, ალბათ, მე და შენ.

152
ღვინო დალიე, განგება ხომ სიკვდილს გვიპირებს
და ჩვენს სულებსაც არყოფნაში გადაიბირებს;
დაჯექ მდელოზე და კამკამა ღვინო დალიე,
სანამ ეს მდელო ჩვენს საფლავზე გაიბიბინებს.

153
სჯობს, ცოტა გქონდეს ყველაფერი, გარდა ღვინისა,
ლამაზმანებთან დაოკება გიჯობს ჟინისა,
სჯობს, სიმთვრალეში დაგეკარგოს გზები შინისა
და წუთისოფელს ამჯობინო წუთი ლხინისა.

154
განთიადზე რომ აყვავდება, ვარდი კი არა,
ის, რამაც ბულბულს დაამჩნია გულზე იარა,
შენც ყვავილნარში ჩამოჯექი, სანამ ამ ვარდმა
წარმავალობის მძიმე სენი გაიზიარა.

155
სანამ უნდა მდევდეს სევდა, ან საფიქრალს რისთვის ვისევ?
სანამ უნდა გაგირბოდე, სიამევ და სიხალისევ?
ღვინო მასვი, სანამ დროა, თორემ ისიც საეჭვოა,
მე რომ ახლა ჩავისუნთქე, ამოსუნთქვას შევძლებ ისევ?

156
სჯობს ძველ ღვინოში ჩაკლა, რაც რამ ახალი დრო ჩანს
და მოერიდო ყველა ბრიყვს და ჯიუტს და ოჩანს;
ფერიდუნის და ქაიხოსროს სამფლობელოებს
გერჩივნოს ჯამი, რომლის ფსკერზე სამოთხე მოჩანს.

157
ფულს და ქონებას, რაც არსებობს ამ ქვეყანაზე,
თან ვერ წაიღებ და ნუ ნაღვლობ, ძმაო, ამაზე;
ლამაზ სიცოცხლეს ნუ გაფლანგავ ამაო ფიქრით,
იმხიარულე და ცხოვრება გაილამაზე.

158
ზაფხულის მინდორს მუდამ მოსდევს ზამთრის ტრამალი
და მათს დევნაში ქრის სიცოცხლე ჩვენი ფრთამალი;
მოილხინე და შენც ირწმუნე ეს ერთი სიბრძნე -
„დარდი შხამია და ღვინოა მისი წამალი!“

159
დოქი ვიყიდე მედოქესთან მე ამას წინათ,
იმ დოქმა მითხრა: „საიდუმლოს გეტყვიო წვრილად,
შაჰი ვიყავ და ოქროს თასი მეჭირა ხელში,
ახლა კი ლოთის ხელში ყოფნა მერგოო წილად“.

160
ოთხის და შვიდის შედეგი ხარ, კაცი ხარ მხოლოდ,
ნუ ეხეტები უგზოუკვლოდ და უთავბოლოდ.
ღვინო დალიე, მე ხომ შენთვის ათასჯერ მითქვამს:
წახველ და მორჩა! - გადაგექცა საწყისი ბოლოდ.

161
თუკი იდუმალ გამოცანებს ვერ აუდიხარ,
ღვთიური სიბრძნის სიცხადეში თუ ბინდბუნდი ხარ,
აქ, ამ ღვინოში, მოიძიე შენი სამოთხე,
იქ კი, სადღაც რომ სამოთხეა, ვის რად უნდიხარ?!

162
არ ვიცი, ძმაო, ჭეშმარიტი შენ რა გგონია,
მე კი ასეთად ღვინით თრობა გამიგონია;
ვინც ეს ქვეყანა ააშენა, განა ჩვენსავით
გადაგრეხილი ულვაში და წვერი ჰქონია?!

163
რადგან ამქვეყნად გზაც კი არ მაქვს სადმე ნანახი
მარადისობის კარიბჭეთა გადასალახი;
ასი ათას წელს შავ მიწაში გავატარებ და
მაინც ამოვალ მიწის ზემოთ, როგორც ბალახი.

164
წუხელის ღამით მე სიმთვრალემ გამახელა და
ქვას მივამსხვრიე ქაშანური თიხის ხელადა;
ხელადამ მითხრა: „მეც შენსავით კაცი ვიყავი
და შენც სულ მალე მოგისვრიან დასამსხვრევადა“.

165
რა იქნებოდა, ის იმედი მეც რომ მენახა,
რომ ბედს თავადვე განვაგებ და სვეც რომ მენახა;
თუ საპყრობილედ მექცა ყოფნა, არყოფნამ მაინც
მამყოფოს ისე, ბნელთან ერთად დღეც რომ მენახა.

166
ღვინო მასვით, ბედისწერამ სანამ გამატიალა
და არყოფნის ბილიკებზე კენტად მახეტიალა;
ჟამთასრბოლამ მტვრად აქცია ბევრი თვალებცქრიალა
და მოზილა ასი დოქი და ათასი ფიალა.

167
ერთ ბერიკაცს შევეყარე სირაჯებთან გამთენიას,
კითხე: „ნუთუ წასულების არაფერი არ გსმენია?!“
მითხრა: „ღვინო დალიეო!... ჩვენისთანა რამდენია,
წასულან და, ხსოვნის გარდა, არაფერი დაგვრჩენია...“

168
მწდეო, ცოდვა თუ მადლში მაინც უნდა გავრიოთ,
და ყოფნა ერთით ან ათასი დარდით გავლიოთ,
სჯობს, მოვილხინოთ, სანამ მიწად გვაქცევს განგება
და სანამ ყველა ქარს გავყვებით, ღვინო დავლიოთ!

169
დიდხანს ვეძიე, დავიწყლულე გუგები თვალთა,
მაგრამ ვერ ვპოვე ვერსად კვალი სამოთხის წყალთა;
მაშ, დავივიწყოთ ის სამოთხე და ამ მდელოზე
ჩვენი სამოთხე მოვიძიოთ შავთვალა ქალთან.

170
შენ გუშინ სევდის საპყრობილე ისე აგიგეს,
შენი არც თხოვნა ისმინეს და არც რამ გაგიგეს;
გამხიარულდი! - მე სხვა ნუგეშს ვერაფერს გეტყვი,
შენ ხვალინდელი ხაფანგი ხომ გუშინ დაგიგეს.

171
მე ერთხელ შევდგი მექოთნეთა ამქარში ფეხი
და ვნახე - ყველას მოემარჯვა ჩარხი თუ წნეხი,
დოქის მუცელში ჩაეზილათ შაჰინშაჰი და
ზედ სატუჩეზე დაეძერწათ საწყალი გლეხი.

172
მე ერთხელ ზეცამ იდუმალი ხმებით ამავსო,
მითხრა - შენსავით ბედისწერა მეც კი მტანჯავსო.
ჩემი ტრიალის შეჩერების ნება რომ მქონდეს,
მეც სიხარულით დავაღწევდი ამ ბრუნვას თავსო“.



173
მე ეს ღვინო არას მავნებს, სავსე დოქთან დამსვი მე,
აივსე და შესვი ჯამი, სავსე თასი მასვი მე;
ბედისწერა კვალში დაგვდევს: თარსი შენ და ნავსი - მე,
სანამ დოქად გადაგვზელენ, ჯამი - შენ და თასი - მე.

174
თუ ჩემი მოსვლა ქვეყნად იყო არამარადი
და თავს თუ ვეღარც წასვლისაგან დავიფარავდი,
ის აჯობებდა, რომ ლოთების ნავთსაყუდელში
არც მოსვლა იყოს და არც წასვლა აწ და მარადის!

175
ვისაც აქვს ერთი პური და მწვადის ნაჭერი სადილად,
ვინც დოქით ღვინოს ისურვებს და მოიპოვებს ადვილად,
ვინც ლამაზმანებს გაუშლის ხასხასა მდელოს მანდილად,
მისი სიკეთე სულთანსაც მოენატრება ნამდვილად.

6 | № 23 (287) | 10 – 16 ივნისი 2015

ქართული ენა

ლიტერატურა. ზეპირსიტყვიერება. ჟურნალისტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროზა



ჯვარედინი

რევაზ ინანიშვილი

მე მინდა, ამ სიბერის კარიბჭიდან ნათლად დაგანახოთ, როგორი მზე იყო ჩემს ბავშვობაში. თქვენც შემეწიეთ, ყმაწვილებო!

მაშინ იყო მაისის დიდი გახარებული მზე მწვანე ჯანსაღი ქვეყნიერების თავზე, სიხარულით ავარვარებული ჩვენი ქედის თავზე. მბრწყინავი მთრთოლი ნისლივით ასდიოდა ყვავილოვან მდელოებს. მხოლოდ ჭალისპირა ვეება კაკლები გამოიყურებოდნენ მუქად, კიდევ უფრო მუქად - მათი დიდი ჩრდილები. მათ მაღლა ჩახჩახა მომღერალ ნაპერწკლებივით ირეოდნენ მოლაღურები და ჩიტბატონები.

ამაოდ გვეძახდა ფერდობის თავზე გამომდგარი ბებია გაგრძელებული ხმით:

- რეზიკოო! ვალიკოო! ზალიკოო!..

ჩვენ პასუხს არ ვაძლევდით.

ჩვენც გახარებულ მზეში ვიდექით წისქვილის არხის მდორის პირას, ჩამწკრივებულნი. თან ვთევზაობდით, თან თვალებდახუჭულნი ვნეტარებდით. თვალები რომ დახუჭული გაქვს, უკეთესიც კია მდორეში თევზაობისას, სულ ოდნავი შეტოკება ანკესისა და მაშინვე ურუანტელი გადმოგივა თითებიდან სხეულში. მაისის გახარებული მზით ნეტარება ხომ თითქმის არ შეიძლება სხვანაირად.

რა თქმა უნდა, თვალებსაც ვახელდით, თანაც მალ-მალე.

გავახილე ერთხელაც და დავინახე: ჩვენ ზემოთ მსუბუქი ორთვალა ეტლი გამოდის წყალში, გამოვიდა, გაჩერდა და იქიდან მძიმედ ჩამოხტა მამაჩემი. მისი გაღიმებული ამხანაგი მაღლა დარჩა.

მამამ ხაკის ხალათზე შემოჭერილი ქამარი შემოიხსნა, ორად აკეცა, თითქოს სიარული უჭირდა ჩექმებით. ჩემი ძმა და ბიძაშვილები დაფრთხნენ, ქვემოთ დაეშვნენ, მე ანკესიც კი არ ამომიღია წყლიდან, სულ კი ვუყურებდი მამას, მის გაღიმებულ ამხანაგსაც. რაც უფრო მიახლოვდებოდა მამა, მით უფრო უპატარავდებოდა თვალები. ბოლოს მწვავე წერტილებად ექცა.

- რატომ არ აგონებთ, ბებია რომ გეძახით?

მე ისევ წყლისკენ მქონდა გაწვდილი ანკესი, ხედვით კი როგორღაც ცუდად აძაბულ ჩექმებს ვხედავდი.

- არავისი არ გესმით არაფერი, არა?!

გამოვარდა ქამრის მძიმე ბოლო და შიშველი კანჭის ზემოთ, მოსახარში მიკბინა გველივით.

თითქოსდა ერთად აცვივდნენ ძახილით მოლაღურები, ჩიტბატონები, ტოროლები.

ახლა კი გავიქეცი, მაგრამ იქით კი არა, ჩემი ძმა და ბიძაშვილები რომ გაიქცნენ, მდორე გავტოპე, გავარღვიე და არხის იქითა ნაპირზე გავენთე სოფლისაკენ, მხოლოდ ესღა დავინახე, როგორ ჰქონდა განათებული პირი მამას ამხანაგს და როგორ მიჰქონდა მამას ხალათის კალთები უკან...

ანკესი მაღლა მქონდა აწეული და ისე გავრბოდი. წისქვილის გამოსაჩენთან, ღობეს რომ მოვეფარე, გავიზნიქე და ქამრის ნაკბენს დავხედე. მთელი კანჭი წითლად მქონდა შეღებილი, ფრჩხილის სიგრძეზე გახეთქილი კანი ფეთქავდა და იქიდან მუქი და მუქი სისხლი ამომდიოდა. არაფერი მქონდა, რით უნდა შემეხვია! არც არავინ იყო ახლოს. გზიდან გადავედი, მრავალძარღვები დავკრიფე და იმით გავიწმინდე თუ უარესად გავითხუპნე ფეხი. ანკესი ავახვიე და მისი ტარის ბჯენით და კოჭლობით წავედი. წისქვილთან თამაზა შემხვდა, წვერიკმაზაშვილი, გადაირია, ისე მოეწონა ჩემი ჭრილობა, რა კოხტად ამოდის სისხლიო, მაგრამ მაინც შემიხვია - ააძრო თუთის ტოტს გრძელი ლაფანი, დამადო იმანაც მრავალძარღვები, ზემოდან კულმუხოს დიდი რბილი ფოთოლი და გადამიხვია იმ ლაფნით. ახლა უკვე მართლა ვკოჭლობდი. თამაზას შევეცოდე და თავიანთ ნამყენ ბალზე დამპატიჟა. თვითონ ავიდა ბალზე, სულ მსხვილებსა და კუნწულ-კუნწულებს მიკრეფდა და ძირს მიყრიდა. მეც, ნამდვილი ავადმყოფივით, შეწუხებული სახით ვჭამდი. თან ფეხს ძლივს მივადგამდი.

ბლიდან წამოსულებს გიგილო შეგვხვდა, შავი. იყო სხვა გიგილოც, წითელი. შავმა გიგილომ მამამისის სააგურეზე წაგვიყვანა, სააგურეც კარგი რამ იყო. ჯერ ხომ სულ ლამაზ-ლამაზად ეწყო გამოუწვავი აგურები, მერე, იდგა ერთი დიდი კასრი, დიდი ლატანი ჰქონდა გამოშვერილი, იმ ლატანზე დიდი გამხდარი ცხენი იყო გამობმული, თვალებზე აქეთ-იქიდან, ტყავები ჰქონდა აფარებული. ცხენი წრეებს უვლიდა, კასრში რაღაცნაირი ნიჩბები ბრუნავდა და სააგურე ტალახი იზილებოდა. გიგილოს მამასაც შევეცოდე კოჭლი. გინდა, ცხენზე შეგსვაო? არც ჩემი პასუხისთვის დაუცდია, არც ცხენი შეუჩერებია, დამავლო ვეება ხელები და ეგრევე გადამსვა. მეც ვტრიალებდი ცხენთან ერთად და მეციინებოდა, მიყურებდა გიგილოს მამა და მასაც ეღიმებოდა დიდი კბილებით. დაავლო ხელები და უკან მომისვა თამაზაც. ცხენი თითქოს სულ არაფერს გრძნობდა.

ამასობაში კი, გიგილოს დედაც მოვიდა, ქმარს სადილი მოუტანა. ჩვენც დაგვსხეს, ჯამებში მაწონი დაგვისხეს, ხის კოვზები და პურის მოზრდილი ნატეხები მოგვცეს. მაწონიც და პურიც ძალიან გემრიელი იყო: გიგილოს დედამ ლაფანი შემხსნა და ძონძით გადამიხვია ფეხი, სისხლი, რა თქმა უნდა, აღარ მდიოდა, მალ-მალე კი მეჩაჩებოდა ის ძონძი.

სააგურედან საბანაოდ წავედით. შენ არ იბანაოო, ბიჭებმა, მე მაინც შევიხსენი ძონძი და ისე ვიბანავე. ჭრილობა გამეხსნა, ისევ სისხლი წამომივიდა, თამაზა გაიქცა, ახალი მრავალძარღვები მოიტანა და ისევ თვითონ შემიხვია.

არ მინდოდა, მაგრამ ნაშუადღევს მაინც მივედი შინ. ანკესი დავმალე, ჩუმად ავედი მაღლა და ჩუმად წავწექი ბებიას ტახტზე. ეტყობა, მაშინვე ჩამძინებოდა. როცა გამოვერკვიე, ბებია ეუბნებოდა დედას, ნახე, ერთი ნახე, რა დღეში აქვს ფეხიო. სახვევი ჩამწეოდა და ჭრილობიდან სისხლი წამომსვლოდა, დედაც მიწყრებოდა, ბებიაც, მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი. არყიანი საფენი დამადეს. აქ კი გავაკრაჭუნე კბილები, ცრემლიც წამომივიდა, ორი, მაგრამ ის ცრემლები არც დედას დაუნახავს, არც - ბებიას.

ისევ ჩამეძინა, ახლა უკვე სუფთა, გრილ ლოგინში, რაღაც ღრმად მეძინა. მაინც, უცებ გამეღვიძა: საბანი ფეხთან გადახდილი მქონდა, იდგა მამაჩემი, ბებია კი, უჯავრდებოდა, გიჟი ხარ, გადარეული, ყმაწვილის ეგრე გამეტება შეიძლებაო?!

აი, აქ იყო ყველაზე ძნელი ცრემლის შეკავება, მით უფრო, რომ მამა ხმას არ იღებდა, გაგუდულივით იდგა. დედამაც წყრომით დაიძახა რაღაცა შორიდან. მე ისევ თავს ვებრძოდი, არ ავტირებულიყავი.

დილას, ჩემდა გასაოცრად, გვიან გამეღვიძა. ჩემი ძმა და ბიძაშვილები ამდგარიყვნენ, არ ჩანდნენ. კოჭლობით გავედი აივანზე. მამა ორთვალაში ცხენს აბამდა. ისევ შინ შებრუნება დავაპირე, მაგრამ მამამ დამიძახა. გავჩერდი, ფრთხილად გავიხედე მისკენ. მამას, მძიმე კაცს, რაღაც მსუბუქად ეღიმებოდა.

- როგორა ხარ? - მკითხა.

- კარგად.

- მაგრად იყავი, მაგრად! - და ორთვალაზეც ღიმილით ავიდა.

მეც მეღიმებოდა.

ახლა მთავარი იყო, ძმა და ბიძაშვილები მომეძებნა.

ეზოში ჩავედი. შევხედე კარგად ამომაღლებულ მზეს. ის ხომ მთლად გახარებული მიყურებდა, ასეთ მზეში რას არ აიტანს კაცი, და მეც გამართულმა გავაბიჯე გზაზე.

თქვენც შეგიმჩნევიათ თქვენით გახარებული მზე, ყმაწვილებო?

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

გიორგი ნუნიძე

ᲧᲘᲕᲩᲐᲚᲘᲡ ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ

ერთი მეც გადავუქნიე,
წვერიმც ვუწვდინე მიწასა.
მუხრანელი

ყორღანებიდან გნოლი აფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი! მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.
ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.
ხოხობას გნახე, მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!
ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!
მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!
მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები
მოდი! გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...
გალავანში - ჯამი აქაფებული,
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ - ვეფხვი დაქალებული...
საზანდარმა ღამე ააცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა-ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...
ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!
როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...
წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!
ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!

ᲡᲘᲭᲐᲑᲣᲙᲔ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲔᲠᲗᲘᲐ

მხოლოდ შენ გეტყვის შენი ქვეყანა,
ბევრი იცხოვრე დღეის-ხვალობით:
- სტვირს გიკრავდი და არა როკავდი,
გიგალობდი და არა გალობდი!
შენი დრო იყო სიჭაბუკისა,
ვერ აიყარა შენი ყვავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია,
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი.
ვინ დაგაყარა გულზე ქვიშანი,
არ ამოვიდეს ლექსის ბალახი?
ახალგაზრდობა - შენი ნიშანი,
თავზე გადგია, ვით ჩაბალახი.
ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით -
ადიდებული, დამწიფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.
დღევანდელი დღის პასუხ-მგებელო,
ჩაასვი სიტყვა - ტყვია ტყვიაში!
მიწას არ ახსოვს, იყოს პოეტი
გამომწყვდეული კუბოს წყვდიადში.
და რაც კი სუნთქავს დიდ ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არი ცხოველი:
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი -
შენი სიტყვების ღიმილს მოელის.
შენ გელოდება დასასტამბავად
ათი ათასი ჩანჩქრის ბღავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია -
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი!

ᲪᲘᲪᲐᲠᲘ

„გადამაგდე და დამკარგე,
როგორც ჩერქეზმა ისარი“,
ასე გავარდა სამგორში,
ცას დაეხალა ციცარი.
ვაი, ნაგზაურო ციცარო,
გაზრდილო ჩემის ხელითა,
შენ სადღეგრძელოს აღარ ვსვამ
ქაფქაფა საწნახელიდან.
არც დაგიღებავ ფრჩხილებსა
ზაფრანა-დარიჩინითა,
წადი და იმას აკოცე,
ვინც მინდვრად გაგაჯირითა!
ის ბაზიერი გიყვარდეს,
გაჭმევდეს აღჯანაბადსა;
მე ჩემს გზას გამოვუდგები,
ცხენზე დავაკრავ ნაბადსა.
სათათრეთს გადავვარდები,
დამკვრელად ვივლი თარისა;
ჩოხა წვიმისა მეცმევა
და ყაბალახი მთვარისა...

ᲡᲘᲛᲚᲔᲠᲐ

ჩაჰქრა სხივი...
ქარი ჰხვივის...
დაცემულა ფურცელი!
ირმის ყვირილს,
გულის ტკივილს,
მოდი და გაუძელი!
მზის ღადღადს
და მთვარის ქათქათს,
მთების ლაპლაპს ვუცქერი,
საქართველოს სილამაზეს,
მოდი და გაუძელი!
გულის ძგერა,
ჩანგის ჟღერა,
მე სამშობლოს ვუძღვენი!
მარად მისით ვიხარო,
მასთან დავრჩე უცვლელი;
საქართველოს სიყვარულს,
მოდი და გაუძელი!

ᲠᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲢᲐᲨᲘ?

რა საჭიროა ლექსისთვის ტაში?
ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა;
ვიცი, ბეღურას პატარა ფრთაში
დაკვესებული ცეცხლი ანთია.
- ვიცი, დამდნარი თოვლის წკრიალი
ბესიკის ხმაზე უფრო ტკბილია;
ქვაც ყველა არი ნაპერწკლიანი, —
გული რომ იყოს, გასაკვირია?

ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ, ᲨᲔᲜᲘ ᲛᲔᲙᲕᲚᲔ ᲕᲐᲠ!

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ,
- შემოვდგი ფეხი, ვარ მომლოცველი,
თვითეულ მოძმის გადამკოცნელი!..
ხალხო ქართველო,
შენ გაიხარე,
ბედნიერების ვარ მომლოცველი!
ყოველი შენი ბუჩქი და ტოტი
მენახოს მზეში დამარჯნებული,
შენი მარჯვენა მინდვრად, დაზგასთან,
იყოს მარადის გამარჯვებული!
ხალხო, გიმრავლოს კერის აკვნები,
ხალხო, აივსე მინის ბარაქით!
სულ მჩქეფარებდნენ დაუშრობელად
შენი რიონი, მტკვარი, არაგვი!
სამშობლოვ,
შენი კერის მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი,
ათას ჩანგსა და ათას სიმებზე
ამოგაჟღერო მინდა ოცნებით,
მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვნია,
ჰანგი, შენდამი ტრფობის მტყორცნელი!
ყოველდღე ჩემთვის ბედნიერების
და სიხარულის ხარ მომლოცველი!

ᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲩᲔᲛᲘᲐ!

ეს დღე ჩემია,
ეს დღე ჩემია,
არცა ბესიკის,
არცა ვაჟასი!
გული მათ გულზე მიმიბჯენია,
გავრთულვარ ლექსის გამოჩარხვაში.
ჩემი სულისგან არი დაწნული
ეს დღე,
ეს წამი
და ეს საათი!
შიგ ჩემი სუნთქვა არის დაცული,
ვმღერი ვარდებში, როგორც საადი.
მეც იქ მაქვს გული, სადაც აქვს შოთას,
სამშობლოსათვის მეც იქ ვილოცავ,
მეც იქა ვღელავ,
სადაც ის შფოთავს, -
გინდაც ჩამთვალეთ სასაცილოდაც...
შადრევნისა და შავარდნის ხმებით
მიმღერია და ვიმღერებ კიდევ!
მე - ხალხის გულთან გულის შეხებით
კვლავ ახალ-ახალ ცეცხლს წავიკიდებ!
და სიყვარულით დამდნარმა შხივად,
სამშობლოვ, შენთვის რაღა ვინატრო?
მინდა, რომ სიმი გადმექცეს სხივად,
სადღაც ორწოხი ამოგინათო!
მინდა ვიყიდო ქვეყნის წამლები,
რათა შევესწრო იმ დღის დანახვას,
რომ მომძახოდნენ შთამომავლები:
- იცოცხლე, გოგლა, შენ ჩვენთანა ხარ!

ᲨᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ

ცაღია დღეა,
შუქი დგა სვეტად,
მომწონს და მიყვარს
მზის ქვეშ ყოველი...
მაგრამ ამ დილას,
ყველაზე მეტად,
მიყვარხართ შენ და სვეტიცხოველი!
სიწმინდე შენი,
სიმაღლე მისი, —
სხვა რა ვიწამო,
განძი რომელი?
ჩაწნულხართ სულში
უკვდავ ჩუქურთმად,
ძვირფასო, —
შენ და სვეტიცხოველი!..

ᲜᲘᲜᲝ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲡ!

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება...
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება!
შენც ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც
და გაჟრჟოლება მათი გულისა,
თავშესაფარი რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი გაზაფხულისა!
შენს სილამაზის იქით - ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარედი;
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი.
ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ,
ათას წელს გასძლებს შენი მშვენება;
შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო,
შენგან არასდროს მომესვენება.

№ 23 (287)
10 – 16 ივნისი 2015
ქართული ოცნება
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ზელოჭნული. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

ПОЛИТИКА

ივანიშვილის 80-კაციანი „შავი სია“

„ჩვენმა მეგობარმა უკრაინამ პრობლემის მოსაგვარებელი გასაღები ვერსად ნახა, რუსეთ-უკრაინის შეხვედრების მინსკის ფორმატი, პრაქტიკულად, უშედეგო აღმოჩნდა. დღეს, სახელმწიფოებრივად, უკრაინელები უფრო ცუდ დღეში არიან – იქ თავსმოხვეული ომი ისევ გრძელდება, ჩვენ კი, ომი მოკლე დროში მაინც დავამთავრეთ“, – ამბობს „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ვალერი გელბახიანი. რატომ ვერ გაამართლა დასავლეთის იმედები მიხეილ სააკაშვილმა და რა მოლოდინი აქვს უკრაინის ხელისუფლებას გამოკვეთილად პრორუსულ რეგიონში სააკაშვილის გუბერნატორად დანიშვნით, რა დანაშაულისთვის გაასამართლებს ქართული მართლმსაჯულება ყოფილ პრეზიდენტს, ვინ მოხვდა ვალერი გელბახიანის „შავ სიაში“ და რატომ არ აგრძელებს საჩხერის თვითმმართველი მთავრობა „ნაციონალების“ მიერ წამოწყებულ პროექტებს?

„სააკაშვილმა ჰილარი კლინტონის ძმებს ქონება წაართვა!“ – რა ინფორმაცია აქვს ვალერი გელბახიანს სააკაშვილის უკრაინულ გეგმებზე

ვალერი გელბახიანი: – მიხეილ სააკაშვილის ოდესის ოლქის გუბერნატორობა უკრაინელი ხალხის არჩევანია. ოლქის სამი დიდი ქალაქი – ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი რუსულენოვანი მოსახლეობით დასახლებული ურბანული ცენტრებია, ანუ ეს გამოკვეთლად პრორუსული რეგიონია... სააკაშვილისთვის ადგილობრივებთან ურთიერთობა არცთუ ჰარმონიული იქნება, როგორც წარმოუდგენია.

– მიხეილ სააკაშვილი, როგორც გუბერნატორი, ვისი პროექტია?

– უკრაინისა და რუსეთის პრობლემების მიზეზი, ბუნებრივია, დასავლეთშია, რომელმაც თავის დროზე უკრაინის ქუჩის ოპოზიციას მხარი დაუჭირა – კიევის მაიდანზე, პრაქტიკულად, არაკონსტიტუციური და არაცივილიზებული პროცესები მიმდინარეობდა, რომლის ავტორიც დასავლური სამყარო იყო. დასავლეთს ლეგიტიმური საფუძველი არ ჰქონდა, უკრაინის შიდა საქმეებში ჩარეულიყო, რადგან არჩევნებში, დაახლოებით, 10 მილიონ ადამიანს მონაწილეობა არ მიუღია. აქედან გამომდინარე, მთავრობას არასტაბილური მდგომარეობის გამოსასწორებლად, მოსახლეობის მხრიდან ნდობის მოსაპოვებლად, უკრაინის ხელისუფლებას მკვეთრი ნაბიჯის გადადგმა დასჭირდა... მიხეილ სააკაშვილი კი, დასავლეთის მიერ, საქართველოში წარმატებული რეფორმატორული პოლიტიკის გამტარებლადაა მიჩნეული.

– არადა, საქართველოს პროკურატურა დროდადრო აცხადებს, რომ სააკაშვილს ბრალი უმძიმდება...

– ის უამრავი ფაქტი, რომ სააკაშვილმა ნახევარ საქართველოს უკანონოდ „გადაუარა“, ამერიკელებს არ აღელვებთ, მათთვის მთავარი პოზიტიური შედეგებია და არა ის, ვინ დაიჭირეს და ვის ქონება წაართვეს. განსაკუთრებული ყურადღება მსოფლიომ სააკაშვილის ანტიკორუფციული სქემების მოქმედებას მიაქცია. პარლამენტარის რანგში, მრავალ ქვეყანაში გახლდით, მათ შორის, ფილიპინებში, ჰონკონგში, სადაც ანტიკორუფციული ბრძოლის მეთოდებსა და მის შედეგებს განვიხილავდით, თუმცა მსოფლიოში ვერ ნახავთ კუთხეს, რომელსაც ამ მიმართულებით ასპროცენტიანი შედეგი აქვს. დღეს მსოფლიოში, ყველა სტანდარტით, საქართველოში გატარებული რეფორმები მიჩნეულია, როგორც საუკეთესო, რასაც ყველა საერთაშორისო კვლევა ადასტურებს. ეს წარმატება საქართველოს მოქალაქეებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს, კორუფციის ყველა ფანჯარა ამოიხურა, ვერ ნახავდით უწყებას, სადაც ქრთამით საქმეს გააკეთებდით.

– კი ბატონო, მაგრამ მოქალაქეები გაურკვეველ ანგარიშებზე ფულს ხან ჯარიმის სახით რიცხავდნენ ხან – საპროცესო გარიგების გამო...

– მოდით, ასე ვთქვათ: თუკი ადრე ფულს სახელმწიფო მოხელეები ჯიბეში იდებდნენ, მერე, ყველაფერი სახელმწიფოს ჯიბეში წავიდა. თავის დროზე მეც მქონდა უარყოფითი რეაქცია, როცა ბიზნესმენებს ავალებდნენ, შემოსავლებიდან 7-8 პროცენტი თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა თუ სხვა უწყებების ანგარიშებზე შეეტანათ. ამ ფონდებით აშენდა სიღნაღი, სადაც 500-მილიონიანი ინვესტიცია ჩაიდო, მესტიისა და ბათუმის ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა. უცხოელები სწორედ ამ მიმართულებით აფასებდნენ სააკაშვილის მოღვაწეობას. უძლურნი ვართ, საერთაშორისო აზრის წინააღმდეგ გავილაშქროთ – ან უნდა შევთანხმდეთ და ის სტანდარტი ვაღიაროთ, ან ევროპულ ღირებულებებზე უარი ვთქვათ.

– ასეა თუ ისე, სააკაშვილის წინააღმდეგ მთავარი ბრალდება ქიშმირის პალტოებია.

– ხალხი როგორი განაწყენებულიც უნდა იყოს, მსოფლიო პოლიტიკას პირადი განწყობები არ მართავს. წეღან მკითხეთ, ვისი პროექტია სააკაშვილიო. გპასუხობთ: სააკაშვილი მსოფლიო პროექტია. არაერთხელ მომისმენია ყაზახი, თურქი, აზერბაიჯანელი ბიზნესმენების მოსაზრება, რომ ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდი საუკეთესო იყო – პრობლემები, რასაც დღეს ერთი თვე სჭირდება, 5 წუთში წყდებოდა. სამწუხაროდ, მესამე სამყაროს ქვეყნების რიცხვს მივეკუთვნებით. მეორე სამყაროსკენ გზა რაც შეიძლება, სწრაფი ტემპით უნდა გავიაროთ. ასეთია თანამედროვე პოლიტიკური რეალობა. აშშ-ის ელჩმა ბიძინა ივანიშვილს ულტიმატუმი წაუყენა, რომ სააკაშვილის მიმართ პოლიტიკური დევნა შეწყდეს, ეს მმართველმა პოლიტიკურმა ძალამაც უნდა გაითავისოს და წინააღმდეგობაში არ შევიდეს. გვეუბნებიან, ისტორიის ფურცელი გადავშალოთ და შენება ახლიდან დავიწყოთო. გუშინდელ დღეს თავი დავანებოთ, შიდა პრობლემებს მივხედოთ, დღევანდელი დღე კი, არცთუ სახარბიელოა!

„ბევრს სააკაშვილი გიჟი ჰგონია, მაგრამ ფაქტია: პოლიტტექნოლოგიებში ბადალი არ ჰყავს. ასეთი ნოვატორი იშვიათად მოინახება – მოვლენებზე მუდამ სწრაფად რეაგირებს... მისი რეფორმები ხალხისთვის მისაღები არ გამოდგა. საქართველო პატარა ქვეყანაა. სტატისტიკური ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში 3 მილიონ ხუთასი ათასი ადამიანი ცხოვრობს, სინამდვილეში კი, ორი მილიონ ხუთასი ათასი მოქალაქეა. აქედან, ხუთასი ათასს რომ ციხეში უსამართლოდ გაუშვებ, პლუს, ქონებას წაართმევ, ხალხისა და ხელისუფლების დამოკიდებულებაში უნდობლობა ჩნდება და პროტესტიც იბადება, რომელიც რევოლუციურ პროცესებში გადაიზრდება... სააკაშვილი ფიქრობდა, რომ ამ პერიოდს, ადმინისტრაციული რესურსებით, გადააგორებდა, მაგრამ ივანიშვილის ფაქტორმა იმოქმედა და სააკაშვილმა არჩევნები წააგო. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, კლინტონი გამოვიდა და განაცხადა, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში არ დარჩებოდა, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცისთვის საექსპერიმენტო საპილოტე პროგრამა ჩაიშალა“.

– ოდესელ ოპონენტებს ამბობენ, რუსეთის საოცნებო საქმეს გააკეთებს და კრემლს ოდესის ოლქს გადააბარებსო. ეს ეჭვი რეალურია?

– ამაში ერთგვარი ლოგიკა არსებობს, მაგრამ თუკი სააკაშვილმა ოდესაში შედეგი არ აჩვენა, პოლიტიკურ კარიერას საერთოდ დაამთავრებს. ამიტომ თავისი აქტიური პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ ოდესაში მოღვაწეობით უფრო მაღალ მიზანს მიუახლოვდეს.

– ზოგი ოდესის გუბერნატორობას სააკაშვილის „ჩამოლაბორანტებას“ უწოდებს. საგულისხმოა, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი განაცხადა.

– პრეზიდენტის მრჩეველი შეიძლება, ორმაგი მოქალაქე იყოს, მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყოფნისას, სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად შეუწყდება. იგი კენჭს ვერც პრეზიდენტად იყრის, ვერც – დეპუტატად. ერთი შეხედვით, გასაკვირია, თუ რატომ გადაჭრა სააკაშვილმა ტოტი, რომელზეც იჯდა?

– თქვენ რას ფიქრობთ, ბატონო ვალერი?

– ამასთან დაკავშირებით ერთ ისტორიას გავიხსენებ: არგენტინას, 50-იან წლებში, პრეზიდენტი ვერონე ჰყავდა, რომლის მეუღლეც შესანიშნავი, აქტიური ქალბატონი გახლდათ. მმართველობისას, პრეზიდენტს ჩავარდნებიც ჰქონდა, ამიტომ, სააკაშვილივით, თავი ესპანეთს შეაფარა და იქაც მჩქეფარე პოლიტიკური ცხოვრება განაგრძო – ესპანურ ელიტაში ფრიად პოპულარული კაცი გახდა. ბუნებრივია, არგენტინაში ამბავი მიდიოდა, თუ როგორი წარმატებული იყო ვერონე ესპანეთში, რომელიც ზუსტად 19 წლის მერე, სამშობლოში პრეზიდენტად დაბრუნდა.

– ეს როგორ მოახერხა?

– ვერონე, ესპანეთში ყოფნისას, არგენტინაში ორ პოლიტიკურ პარტიას აფინანსებდა, რომლებმაც არჩევნები მოიგეს. ერთ-ერთი პარტიის ლიდერი პრეზიდენტიც გახდა და პოსტი ყოფილი პრეზიდენტის სასარგებლოდ დათმო. ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილიც ამ გზით მიდის. მას აქვს შანსი, ოდესაში რადიკალური რეფორმები გაატაროს, უკრაინის პარლამენტს ხალხისთვის სასარგებლო სოციალური პროექტები დააფინანსებინოს, ინფრასტრუქტურა ფასადურად მოაწესრიგოს და ამით პოპულარობა მოიპოვოს, ხალხის გული მოიგოს.

– ანუ, უკრაინაში ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია?

– რა თქმა უნდა, უკრაინა მოუწესრიგებელი ქვეყანაა, კიევში ნაგავს ფეხს წამოკრავ, პატრონი არაფერს ჰყავს. ვიზუალური ეფექტებით სააკაშვილი მიზანს მიაღწევს და უკრაინის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს აუცილებლად იყრის. პარალელურად, საქართველოში „ნაცმოძრაობის“ ლიდერად დარჩება, ვერონესავით, ორსამ პარტიას დააფინანსებს, რათა პარლამენტში შეიყვანოს და მერე, მთავრობაშიც მოახვედროს.

–„ნაციონალებში“ მიმდინარე პროცესები ამ გეგმის ნაწილია?

– დიახ, „ნაციონალების“ გეგმაზომიერი ქმედებები ამას უკავშირდება. ბევრს სააკა-

გაგრძელება მე- 9 გვ.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲜᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ. ᲛᲐᲜ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲔᲑᲘ ᲨᲔᲙᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲒᲚᲝᲛᲔᲠᲐᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ!“

შვილი გიჟი ჰგონია, მაგრამ ფაქტია: პოლიტტექნოლოგიებში ბადალი არ ჰყავს. ასეთი ნოვატორი იშვიათად მოინახება – მოვლენებზე მუდამ სწრაფად რეაგირებს.

– თუ ასეთი ძლიერი პოლიტიკური ლიდერია, 2012 წლის პირველ ოქტომბერს რატომღა დამარცხდა?

– მისი რეფორმები ხალხისთვის მისაღები არ გამოდგა. საქართველო პატარა ქვეყანაა. სტატისტიკური ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში 3 მილიონ ხუთასი ათასი ადამიანი ცხოვრობს, სინამდვილეში კი, ორი მილიონ ხუთასი ათასი მოქალაქეა. აქედან, ხუთასი ათასს რომ ციხეში უსამართლოდ გაუშვებ, პლუს, ქონებას წაართმევ, ხალხისა და ხელისუფლების დამოკიდებულებაში უნდობლობა ჩნდება და პროტესტიც იბადება, რომელიც რევოლუციურ პროცესებში გადაიზრდება. მართვაში დიდი ეფექტები ავტორიტარულ მეთოდებს მოაქვს, დემოკრატიული პროცესი კი, ნელი ტემპით მიმდინარეობს. სააკაშვილი ფიქრობდა, რომ ამ პერიოდს, ადმინისტრაციული რესურსებით, გადააგორებდა, მაგრამ ივანიშვილის ფაქტორმა იმოქმედა და სააკაშვილმა არჩევნები წააგო. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, კლინტონი გამოვიდა და განაცხადა, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში არ დარჩებოდა, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცისთვის საექსპერიმენტო საპილოტე პროგრამა ჩაიშალა. დასავლეთი დაჭერებს და ანგარიშსწორებებს არ ელოდა.

– წეღან ივანიშვილი და ამერიკელები ახსენეთ. „ნაციონალები“ ივანიშვილს „რუსულ პროექტს“ ეძახიან...

– უბრალოდ, განწყობები დაემთხვა. რევოლუციამდე, ჰილარი კლინტონის ძმები ბიზნესისთვის ჩამოვიდნენ, ერთ-ერთ ბანკის მმართველთან, პატარქალიშვილთან ერთად, მიწა იყიდეს და თხილი გააშენეს, სააკაშვილმა კლინტონების ბიზნესი დააყაჩაღა, რეპრესიები დაიწყო – ბანკს ქონება წაართვა, პლანტაციები გაყიდა. ამ ფაქტორმა მიშას დიდი გავლენა იქონია მომავალზე. კლინტონები დღემდე მსოფლიო პოლიტიკას აზანზარებენ, ვიღაც სააკაშვილმა კი, ყველაფერი აურია. აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში ითქვა, რომ სააკაშვილი „დაუკრეფავში გადავიდა“. ივანიშვილი ორიენტაციის მატარებელი არ იყო, პოლიტიკოსადაც არავინ თვლიდა. იგი იყო ფიგურა, ვისაც სააკაშვილის დამარცხება დემოკრატიული არჩევნების გზით შეეძლო.

– არჩევნებიდან სამ წელიწადში, ივანიშვილის მიერ საქართველოს მოსახლეობის წინაშე წარდგენილი „რჩეული“ კანონმდებლები და აღმასრულებლები თავად ივანიშვილსა და ერთმანეთს მტრობენ.

– ივანიშვილმა კადრები დღევანდელი პოლიტიკური სპექტრიდან შეარჩია, მაგრამ მთავრობა პირადი ნაცნობობით კი არა, პროფესიონალურად უნდა შეირჩეს. ივანიშვილი არც პოლიტიკოსია, ამიტომ მართვის პრინციპები მისთვის უცხოა.

– გიორგი მარგველაშვილი გვარწმუნებდა, პლასტელინი ვარ, ყველაფერს მოვერგებიო, მაგრამ თავის კეთილისმყოფელსაც ვერ მოერგო.

– გიორგი მარგველაშვილის დამოკიდებულება სახელმწიფოებრივი კი არა, პიროვნულია. არც ბიძინა ივანიშვილს ეყო მოთმინება, რომ თავის მიერ არჩეულ პრეზიდენტზე ხალხის გასაგონად კომენტარები არ გაეკეთებინა, მაგრამ ეს იმის გამო მოხდა, რომ საკუთარი არჩევანი ხალხის ინტერესებზე მაღლა დგას.

– ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს ფიროსმანის ერთ-ერთი ტილო დაუბრუნა. არაერთგვაროვან მოსაზრებებში, ივანიშვილისადმი დამოკიდებულება გამოჩნდა.

– ვერ გეტყვით, რამდენად ერკვევა ბატონი ბიძინა ხელოვნებაში, მაგრამ როგორც ცნობილია, ძვირფასი კოლექციის მფლობელია. საშუალება აქვს და კეთილშობილურ საქმეს აკეთებს – ქვეყანას დიდი მხატვრის ტილოს უბრუნებს. მსგავს საქმეს ყველა ქველმოქმედი აკეთებს.

– ბატონო ვალერი, ისე, თქვენსა და ბიძინა ივანიშვილს შორის რა მოხდა?

– დღემდე არ ვიცი, ჩემს მიმართ რა პრეტენზიები აქვს, ერთი თაობის საჩხერლები ვართ. ჩვენი ინტერესები არასდროს გადაკვეთილა, თუ იმ ამბავს არ ჩავთვლით, როცა დეპუტატი გავხდი - ჩემს ძმას ვთხოვე, რომ მის მფლობელობაში არსებული სახერხი დაეკეტა, ან გაეყიდა. ივანიშვილის კომპანიამ სახერხი ჩალის ფასად იყიდა, პრაქტიკულად, იჩუქეს – შესაძლოა, იმის გამო, რომ ბადრი პატარკაციშვილსა და ბიძინას ერთმანეთი არ უყვარდათ, მე კი, ბადრის საარჩევნო შტაბის უფროსი ვიყავი.

– მითხრეს, ვალერი გელბახიანი სულ საქალაქო სასამართლოშიაო. თქვენი საქმე არ დასრულებულა?

– არა, ისევ ბრალდებულის სტატუსით ვარ, რაც 2007 წელს გადატრიალების მცდელობას გულისხმობს. გენერალ კოდუას ისე ვესაუბრებოდი, როგორც დეპუტატი და არა – ვიღაც ქუჩის ბიჭი. ჩვენი საუბარი საარჩევნო ტექნოლოგიებს შეეხებოდა. ორი წელი კეთროვანივით დავდიოდი, ხელის ჩამორთმევის ეშინოდათ, რომ ბიძინა არ გაენაწყენებინათ. სამართალდამცავი ორგანოები ფეხს იგივე მიზეზით ითრევენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, განაჩენი ოდესმე დადგება.

– ერთხელ, თინა ხიდაშელმა თქვენზე თქვა, მოსიარულე კომპრომატიაო...

– თინა ხიდაშელს ბევრჯერ ვთხოვე, გაემხილა, რა კომპრომატებზე საუბრობდა...

– „ოცნების“ „შავი სია“ გქონიათ, რისიც ბევრს ეშინია, თურმე...

– ერთ-ერთ შეხვედრაზე, ივანიშვილმა უმრავლესობის წევრებს უთხრა, მომავალ პარლამენტში დღევანდელი დეპუტატების 80% ვერ მოხვდებაო. ეს შევატრიალე და განვაცხადე, რომ ბატონ ბიძინას „შავ სიაში“ 80 კაცი ჰყავს-მეთქი. ვაპირებდი კიდეც პირველი ათეულის გამოქვეყნებას, მაგრამ გადავიფიქრე. ამ სიაზე იმისთანა ამბავი ატყდა, ერთმა დეპუტატმა სოციალურ ქსელში დაწერა კიდეც, მართალია, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობით არ გამოვირჩევი, მაგრამ რევოლუციის ბარიკადებზე ვიდექიო. სიმართლე ვთქვათ, სამი წელი გავიდა და ამ დეპუტატებს დღემდე ხალხი ვერ იცნობს.

– იქნებ იმ რეგიონებში იცნობენ, სადაც აირჩიეს?

– დამიჯერეთ, არავინ იცნობს.

– ხალხი საჩხერის დეპუტატს იცნობს?

– იმით იცნობენ, რომ ვიცე-სპიკერია, სხვა არაფრით. ისე, საჩხერლებს ჰკითხეთ.

– საჩხერე მიწისძვრით დაზარალებული რაიონია, რომლის შედეგები დღემდე არ აღმოფხვრილა...

– 2006 წელს, ჩემი დეპუტატობის დროს, 143 ოჯახს, ვისაც 90-იან წლებში მომხდარი მიწისძვრით სახლი დაენგრა, 5 ათასი ლარი დაურიგდა. პროექტი რამდენიმე ტრანშად იყო დაყოფილი, მას მერე, რაც ოპოზიციაში გადავედი, ეს პროექტიც დაიხურა.

– ერთხელ, ამ თემაზე მანანა კობახიძეს ვკითხე და მითხრა, ცუდი მემკვიდრეობა მერგოო.

– ძალიან კარგი მემკვიდრეობა ერგო, მთავრობის დადგენილება ახლაც იქ დევს, რომლის მიხედვითაც, სტიქიისგან დაზარალებულთა დახმარების შემდგომი ეტაპი გაგრძელდება. რატომ არ აგრძელებენ, არ ვიცი.



– რომან გოცირიძის თქმით, „ოცნების“ რეიტინგი საბოლოოდ დასცა ლარის კურსმა...

– ალბათ, მაგრამ ლარი მხოლოდ ფულის ერთეული კი არა, ეკონომიკა, სამუშაო ადგილები, ოჯახები, ბავშვებია. მოსახლეობას ცხოვრების გაიაფებას პირდები, სინამდვილეში კი, ყველაფერს ორმაგად აძვირებ. დღევანდელი პენსია 63 დოლარია, მიშამ კი, 110-დოლარიანი პენსიონერები დატოვა. დევალვაციების დროს მსოფლიოში, მათ შორის რუსეთშიც, მოსახლეობაზე სავალუტო ბალანსის შესანარჩუნებლად, კომპენსაცია გაიცემა.

– ამბობდით, რთული შემოდგომა გვექნებაო. რა იგულისხმეთ?

– შემოდგომა ისედაც რთული პერიოდია – მოსავლის აღება ხარჯიანი საქმეა. ხალხს ფული არ აქვს და იძულებული ხდება, ბანკს მიმართოს, თუმცა საბანკო პოლიტიკა სულ სხვა, მძიმე თემაა. მხოლოდ ერთს ვიტყვი: გერმანიაში, ბანკიდან სამომხმარებლო სესხის აღება, ქონების დატვირთვით, კანონით აკრძალულია, რადგან ევროპული საბანკო სისტემა მოსახლეობის ინტერესზეა გათვლილი და არა – ბანკების გამდიდრებაზე. ამას დავამატოთ საქართველოს საგარეო ვალი, რომელიც უკვე შვიდ მილიარდზეა ასული. დოლარს საინვესტიციო გარანტიები არ აქვს, მისი კურსი გაუთვლელად ცვალებადი და არაპროგნოზირებადია. ვშიშობ, ერთხელ, ელცინივით, „შავი ორშაბათი“ ჩვენც არ გაგვითენდეს.

– თუკი გადასახადებმა მოიმატა, სოციალური აფეთქების საშიშროებაც გაჩნდება, არა?

– გადასახადების მომატებას ვერ ასცდებიან. სხვა საკითხია, თუკი სხვაობას ბიუჯეტი დაფარავს, მერე სეკვესტრის საჭიროება დადგება. წარმატებულად, ერთადერთი, ჯანდაცვის პროგრამა ითვლება, თუმცა მასშიცაა ხარვეზები. კარგია, რომ სახელმწიფო მოსახლეობის ჯანდაცვისათვის სახსრებს საკუთარი ჯიბიდან იღებს, მაგრამ ამ მომსახურებაში შუამავალი სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც აძვირებენ სერვისს და ფულს აკეთებენ, რაში სჭირდება? ჩემი აზრით, ეს ერთი მარტივი კორუფციული სქემაა.

– „ოცნების“ ყველაზე წარუმატებელი სფეროები რომელია?

– სამართალი და და ეკონომიკა.

– მომავალ პარლამენტში რომელ პოლიტიკურ ძალებს მოიაზრებთ?

– ვერც ერთი დღევანდელი პოლიტიკური პარტია ვერ მოიპოვებს 50-ს პლუს ერთს. დღევანდელი დეპუტატები ბიძინას პარლამენტში დაპატიჟებული სტუმრებივით სხედან და არაფრის შეცვლა უნდათ.

– „ენ-დი-აი“-სა და „აი-რა-ი“-ს კვლევებით, საქართველოს მოსახლეობის 31% ევრაზიული კავშირის მომხრეა. ეს კვლევა რას ემსახურება?

– მიკვირს, მეტი რომ არ დაფიქსირდა. ჩვენს გარშემო, მეზობლები, პოსტსაბჭოთა სივრციდან არიან, თურქეთიც კი, რომლის ეკონომიკაზე რუსეთის 44 მილიარდია მიბმული. ჩვენ სწორედ ევრაზიულ სივრცეში ვცხოვრობთ, მენტალობითაც ერთმანეთს ვგავართ. ბევრჯერ გამიგონია, ქართველები რომ არა, რუსებს ფულის შოვნას ვინ ასწავლიდაო... ოდესმე დაკვირვებიხართ, როგორ ჰგავს დღევანდელი „ახალი რუსი“ ქართველს?

– სახელისუფლო დაპირისპირებები ხალხს არ მოსწონს, დეპრესიაში აგდებს.

– ივანიშვილის გარემოცვაში პოლიტიკური თანამოაზრენი არასოდეს ყოფილან. მან ცალკეული ინდივიდები შეკრა და კონგლომერატი მიიღო, სადაც ყველას საკუთარი ამბიცია აქვს. ისინი კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები კი არა, ერთმანეთის მტრები არიან!

– თინა ხიდაშელმა თქვა, სამოთხეს ოთხ წელიწადში არ დაგპირებივართო...

– სხვათა შორის, შეგვპირდნენ. მიმაჩნია, რომ არ უნდა შეგვპირებოდნენ...

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ

10 № 23 (287) 10 – 16 ივნისი 2015

ქართული ტყუპი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲜᲘᲤᲣᲚᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

„ᲛᲣᲡᲣᲚᲛᲐᲜᲘ ᲑᲔᲑᲘᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ᲕᲐᲰᲐᲑᲘᲡᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲜᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠ ᲘᲓᲔᲝᲚᲝ�გᲘᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲔᲒᲣᲔᲑᲘ!“

ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲚᲐᲓᲐᲫᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

რელიგიური აღმსარებლობის თემა იმდენად საფრთხილოა, რომ ძალიან ბევრი პოლიტიკოსი და უფლებადამცველი, პოლიტიკური ქულების დაკარგვის შიშით, ალბათ, გვერდს აუვლიდა, მაგრამ გადავწყვიტე, სამსჯავროზე მაინც გამოვიტანო და ხალხმა განსაჯოს, რამდენად სამართლიანი და ობიექტური ვარ... საქართველო მრავალკონფესიური ქვეყანაა – ოდითგანვე გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ და ვითარდებოდნენ მართლმადიდებლები, კათოლიკები, გრიგორიანელები, მუსულმანები, იუდეველები და სხვა რელიგიის წარმომადგენლები, თუმცა რელიგიური ნიშნით მათ შორის დაპირისპირება არასოდეს ყოფილა... დღეს კი რა გვემართება?...

გვემართება ის, რომ „მეხუთე კოლონები“, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციის სახელებით არიან დარეგისტრირებულნი და ოღონდაც, ფული იშოვონ, არ აინტერესებთ, ვისგან დაფინანსდებიან და სულს ეშმაკსაც მიჰყიდიან, საქართველოს ინტერესებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია...

როგორც გახსოვთ, 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში, ქალაქ ქობულეთში, ლერმონტოვის 13-ში მდებარე სახლში, მცდელობა იყო, რომ მუსულმანთა მედრესე გახსნილიყო, რასაც წინ უშუალოდ ამავე ქუჩაზე მცხოვრებნი აღუდგნენ – ქუჩის მხრიდან, სახლის შესასვლელის პიკეტირება მოაწყვეს და საშუალება არ მისცეს, რომ მედრესეს ფუნქციონირება დაეწყო... მეზობლების მოთხოვნა შემდეგი იყო: „ჩვენი უბანი ოდითგანვე ქრისტიანულია, მჭიდროდ დასახლებული და არ გვინდა, ჩვენი შვილები მუსულმანური პროპაგანდისა და იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოექცნენ, თან აქვე ახლოს, რუსთაველის ქუჩაზე 6 წელია, მედრესე ფუნქციონირებს და შეგიძლიათ, საქმიანობა იქ გააგრძელოთ“... ეს მოთხოვნა სამართლიანი იყო თუ უსამართლო, ამის გარკვევა იურისტებს მივანდოთ...

დაძაბულობამ პიკს 11 სექტემბერს, დილით მაშინ მიაღწია, როცა მოპიკეტეებმა პანსიონის კარზე ჩამოკიდებული ღორის თავი დაინახეს...

ამ საქმეზე ბევრი დაიწერა და ბევრი ითქვა. გვახსოვს, პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა პირად კონტროლზეც კი აიყვანა, რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს, თუმცა ამ პროვოკაციაში მონაწილეობა საბედნიეროდ, არ დაუმტკიცდათ.

მაშინაც ვთქვი და ახლაც ვამბობ, რომ ღორის თავის „მიჭედებაში“ არცერთ მოპიკეტეს მონაწილეობა არ მიუღია, ეს „მესამე ძალის“ მიერ ინსპირირებული სუფთა პროვოკაცია იყო. „მესამე ძალაში“ მათ ვგულისხმობ, ვინც თურქი რელიგიური ფუნდამენტალისტებისაგან იმართებიან და, რომელთა საბოლოო მიზანიც, რელიგიური არეულობის გზით, აჭარის დედასამშობლოსგან მოწყვეტის მცდელობა და თურქულ რელიგიურ ექსპანსიასთან ლოიალობაა...

ვაკვირდებოდი პროცესს, მონაწილეობასაც ვღებულობდი ადგილობრივ მცხოვრებთა და მედრესეს გახსნის ინიციატორთა შორის გამართულ მოლაპარაკებებში, თუმცა ერთმანეთისადმი შეურაცხმყოფელი ერთი სიტყვაც არ გამიგონია... (ამას ორივე მხარე დაადასტურებს)!

აჭარაში, გამორიცხულია, ქრისტიანმა მუსულმანი შეურაცხყოს ან, პირიქით. თქვენ წარმოიდგინეთ, აჭარაში უამრავი შემთხვევაა, როცა ერთი ძმა მუსულმანია, მეორე – ქრისტიანი, მამა – მუსულმანი, შვილი – ქრისტიანი და ა.შ. მათი უახლოესი წინაპრები კი, მუსულმანები იყვნენ... მაშ, ვინ უნდა იკადროს იმის თქმა, რომ აჭარაში მუსულმანებს ავიწროვებენო? – რა თქმა უნდა, პროვოკატორმა და წამქეზებელმა...

დღეს კი, რა ხდება: ყოფილა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), რომელიც 2012 წლის 28 ნოემბერს დაარსდა (გასაგებია, ვისი ინტერესების გამტარებელიც ბრძანდება). მთავარი მისია (წესდების მიხედვით) შემდეგი ჯგუფების უფლებების დაცვაა: 1) სოციალურად დაუცველი მოქალაქეები; 2) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; 3) ლგბტ პირები; 4) რელიგიური უმცირესობები.

ძალიან კარგი, ამ მისიის მიმართ პრეტენზია არ მაქვს, პირიქით, ძალიან მომწონს (ძალიან მაინტერესებს, რა სახის დახმარებები გაუწია ოთხივე ჯგუფში შემავალ პირებს?!), მაგრამ ყველაზე მთავარი მისია თუ სიცრუე და ქვეყნისთვის სახელის გატეხა იქნებოდა, ვერ წარმოვიდგენდი?!. გამოდის, რომ ტყუილს, ლამაზად შეფუთავენ და სიმართლედ მოგვაჩვენებენ... გრანტს გააჩნია, თუ რა რაოდენობის იქნება...

საქმე ისაა, პატივცემულო მკითხველო, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“-ს წაქეზებით, ზემოაღნიშნული ფაქტი, სამოქალაქო სარჩელით, დავის საგანი გახდა, მოსარჩელედ გამოდიან: 1) „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა“-ს თავმჯდომარე რამაზ კაკალაძე; 2) ფიზიკური პირი კახა კახაძე; 3) ფიზიკური პირი ბადრი ირემაძე; 4) ფიზიკური პირი თემურ ხალვაში.

მოპასუხეები კი არიან: საქართველოს შს სამინისტრო და ქალაქ ქობულეთის ლერმონტოვის ქუჩის მცხოვრებლები, ფიზიკური პირები: მეუღლეები – ანგელინა და დურსუნ ყურშუბაძე და ჟუჟუნა და ზურაბ რუხაძეები

მოსარჩელე მხარეს, ანუ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს“ სასამართლოში წარმოადგენენ საქართველოს ინტერესებზე უზომოდ შეყვარებულები – ლელა გვიშიანი და თამთა მიქელაძე (ცენტრის დირექტორი).

რას ითხოვენ მოსარჩელეები?!

1) შსს-ს, არასათანადო რეაგირების გამო მიყენებული ზიანისათვის, დაეკისროს ჯარიმის გადახდა – 1 (ერთი) ლარი და უზრუნველყოს მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის (სიტყვა მედრესე შეგნებულად შეცვლილია) აღდგენა...

2). ხოლო ფიზიკური პირების მიმართ, მათ მიერ რელიგიური არაშემწყნარებლობის, აშკარა სიძულვილის და დისკრიმინაციის გამოვლენის გამო, მორალური ზიანის მიყენების შედეგად, თითოეულზე 1000 (ათასი) ლარის ჯარიმის გადახდა. დაეკისროს სულ 4000 ლარის, ასევე, სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 120 ლარის გადახდა...

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრ“-ს მივმართავ:

1) ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომ ამოარჩიეთ მხოლოდ ეს ოთხი ფიზიკური პირი მაშინ, როდესაც მედრესეს გახსნის წინააღმდეგი ლერმონტოვის ქუჩის 100-მდე მცხოვრები იყო?!

2) იციან თუ არა თქვენმა იურისტებმა, რომ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, მტყუანიც რომ აღმოჩნდეს, გარდა 1 ლარისა, სხვა დანარჩენს ვერაფრით დააკმაყოფილებს ერთი მარტივი მიზეზის გამო: შსს-ს ფუნქციაში შედის მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა და არა – მედრესეს აღდგენა?!

3) საქართველოს შს სამინისტროს მოსარჩელე რომ ავალდებულებს, მედრესე გახსენი, თორემ ისლამოფობიას დაგწამებო, აქ, თქვენი მხრიდან უფრო ინტრიგის ნიშნები ხომ არ იკვეთება, ვიდრე – სიმართლის გარკვევის?

4) სარჩელში გარკვევით წერია ფრაზა „აჭარელ მუსულმანებს ებრძვიან“. „აჭარელი მუსულმანი“ უნდა ეწეროს თუ, „ქართველი მუსულმანი“?

თქვენ ობიექტური და ისტორიული ჭეშმარიტება არ გაინტერესებთ, თქვენ სპეციალურად ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის ხართ მომართულნი!

საბედნიეროდ, მოპასუხეთა ინტერესს (შსს-ს გარდა) დაიცავს სამართლის ექპერტი როსტომ გუნთაიშვილი, რომელიც ვფიქრობ, სათანადო პასუხს გაგცემთ სასამართლოს მსვლელობის დროს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ფაქტს სამართლებრივი შეფასება მისცეს და დისკრიმინაციად აღიარეს საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ, ომბუდსმენმა უჩა ნანუაშვილმა, საქართველოს შს მაშინდელმა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ და კიდევ ბევრმა დისკრეციული უფლების მატარებელმა პირმა. რა თქმა უნდა, მოსამართლისთვის ცნობილია მოპასუხეების მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის დარღვევის შესახებ. ვნახოთ, შეძლებს თუ არა მოსამართლე, ამ თანამდებობის პირთა სამართლებრივი შეფასებებისგან გამოვიდეს და მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება....

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრ“-მა ძალიან კარგად იცის, რომ ამ პროცესს წააგებს, მაგრამ მისი ინტერესი ისაა, რომ სტრასბურგში შეიტანოს სარჩელი... იქაც წააგებს, სამაგიეროდ, თურქ-ფუნდამენტალისტებთან გაითქვამს სახელს და მიიღებს სანუკვარ დაფინანსებას, რომელსაც სამწუხაროდ, ისევ ჩვენი ქვეყნის საზიანოდ გამოიყენებს...

დავუბრუნდები ძვირფას მკითხველს და მცირე ინფორმაციას მივაწვდი:

თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების დღიდან ფუნქციონირებს სახელმწიფო უწყება – ისლამის გავრცელებისა და პროპაგანდის სამინისტრო, რომლის ყოველწლიური ბიუჯეტიც ასეულ მილიონობით დოლარია და ეს ფული არ იხარჯება მხოლოდ თურქეთში. ამ ფულით მხარდაჭერილია ისლამის გავრცელება ბალკანეთში, ცენტრალურ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და ჩვენს „მცირე აჭარაშიც“. ეს უდიდესი მანქანა მუშაობდა, მუშაობს და არც მომავალში იტყვის უარს მისი მიზნების მიღწევაზე. ყველა იმ პირის, ვინც საქართველოში ზემოაღნიშნული პროპაგანდის მანქანის შემადგენელი ნაწილია, რა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ, საქართველოში რაიმე წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, „გასამრჯელო ერთგულებისთვის“ სამმაგდება და ხუთმაგდება და რამდენიმე ათას დოლარს აღწევს.

დღეის მდგომარეობით, ისლამური სამყაროს ყველაზე რადიკალური ფრთის წარმომადგენელსაც კი შეუძლია, აჭარაში, რელიგიური ექსპანსიის გავრცელების მიზნით, მედრესე გახსნას. ამ საკითხს უამრავი სტატია თუ ტელეგადაცემა მივუძღვენი. საქართველოს სამუფთო სამმართველოშიც დავაყენე საკითხი, რომ არ შეიძლება, ვისაც მოესურვება, მედრესეს ხსნიდეს; არ შეიძლება, განათლების სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე რაიმე რელიგიური სასწავლო ცენტრი იხსნებოდეს; რომ საჭიროა სახელმწიფომ კონტროლზე აიყვანოს ეს საკითხი ისევე, როგორც ევროპაშია მიღებული და აპრობირებული და თუ ვინმეს – არაბს, თურქს თუ სხვა ეროვნების მუსულმანს, სურს, ქართველ მუსლიმებს ხელი შეუწყოს, კეთილი ინებოს და საქართველოს სამუფთო სამმართველოს ანგარიშზე ჩარიცხოს შემოწირულობა და სამუფთო თვითონ გადაწყვეტს, სად, რამდენი მედრესე და სალოცავი ააშენოს...

ვიღუპებით, ქართველებო, სამშობლო ხელიდან გვეცლება, თაობა გვეცლება ხელიდან! ბევრი ღირსეული ქართველი მუსლიმი გვყავს, ბევრიც – ქართველი ვაჰაბისტი! ვაჰაბიზმის სამშობლოდ, როგორც იცით, სპარსეთი მიიჩნევა და დღეისთვის, ირანსა და კიდევ ხუთ მუსულმანურ სახელმწიფოში, ვაჰაბიზმი კანონით იკრძალება... საქარ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-11 ᲒᲕ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

10 – 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 2015

№ 23 (287)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲞᲝᲚᲔᲒᲐ

„პოლიტიკა ივანიშვილისთვის არაა... იოგასა თუ ნიცშეზე საუბარი ურჩევნია!“

საფრანგეთიდან დანახული ქართული პოლიტიკა და გიორგი ფოფხაძის ევროპული ბეგრაუნდი

Googl-ის საძიებო სისტემაში „გიორგი ფოფხაძე“ რომ ჩაწეროთ, მისი სამუშაო გამოცდილების ისეთ რეზიუმეს „ამოგიგდებთ“, კეთილი შურით შეგშურდებათ. გიორგი, წლებია, ევროპაშია. ამჟამად კი, როგორც „ტელევიზიონშჩიკები“ იტყვიან, ჩართვებს „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ ბრიუსელიდან აკეთებს. როგორია ქართველი ევროპელი ჟურნალისტის პროფესიული ბეგრაუნდი და ახლანდელი საქმიანობა, რას პასუხობს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს, რატომ დაუპირისპირდა „ევრონიუსის“ რუსულ სამსახურს, როგორ აფასებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და ქართულ საზოგადოებას ფრანგ ჟურნალისტთა გილდიის „დიდი რეპორტიორი“? – „ქართული სიტყვა“ გიორგი ფოფხაძეს ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, მართალია, ჩავლილი ამბავია, მაგრამ მოდით, „ევროვიზიიდან“ დავიწყოთ, რომელსაც „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ აშუქებდით. ბევრი მეთერთმეტე ადგილს წარუმატებლად მიიჩნევს და ტელევიზიას ადანაშაულებს, საკმარისი პიარი არ იყოო...

– ეს ბრალდება აბსოლუტური სისულელეა. ის კაცი არ ვარ, რომელიც „პირველი არხის“ ინტერესებს იმიტომ დაიცავს, რომ იქ მუშაობს. ფაქტია: „ევროვიზია“ პოლიტიკური კონკურსია... ნინა სუბლატმა დაამტკიცა, რომ ფანტასტიკურად მღერის. პიარიც მაქსიმალურად, იმ ფარგლებში გავაკეთეთ, რისი საშუალებაც საქართველოს ჰქონდა.

ისე, ხმის დათვლით ფრანგებიც უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან აღმოჩნდა, რომ 65-მილიონიან საფრანგეთს ევროპაში 11 მილიონი ემიგრანტი ჰყავს და ფრანგი მომღერლის შესრულება ისე მოეწონა, რომ „ეს-ემ-ესი“ თითქმის ყველამ გააგზავნა, მაგრამ ეს ხმის დათვლაში არ აისახა. ჩვენ არც საფრანგეთი ვართ და არც – გერმანია, რომლის წარმომადგენელსაც 200 ათასევროიანი ბიუჯეტი ჰქონდა, მაგრამ მაინც ბოლო ადგილზე გავიდა. ჩვენი ბიუჯეტი მხოლოდ 50 000 ლარი იყო... ასე რომ, დიდი და პატარა პიარი, ამ შემთხვევაში, ნამდვილად არაფერს ნიშნავს. ფაქტია: შიდა გამოკითხვებში, სადაც შეფასებებს პროფესიონალები აკეთებდნენ, ნინა ყოველთვის ხუთეულში იყო.

სხვათა შორის, ნინამ საკუთარი ხელით შეიკერა კაბა, საკუთარი სიმღერა იმღერა, რომლის არანჟირებაც მისმა მეუღლემ გააკეთა, ფეხსაცმელი კი მეგობრის შეკერილი ეცვა. ასე რომ, მისი დადანაშაულება, თითქოს შავი ანგელოზი იყო, არ შეიძლება.

– ამ შეფასებაზე აღარც კი გკითხეთ...

– მეთერთმეტე ადგილი პატარა საქართველოსთვის საკმაოდ კარგია, მით უმეტეს, მაშინ, როცა გერმანია, საფრანგეთი და სხვა მსგავსი ქვეყნები ჩვენს შედეგამდე ვერც მოვიდნენ. საქართველომ დაამტკიცა, რომ ძალიან კარგი მომღერლების ქვეყანაა.

– კარგი, ბატონო გიორგი, სხვა თემაზე გადავიდეთ. პროფესიით ჟურნალისტი ხართ?

– პირველი პროფესიით ექიმი ვარ – რეანიმატოლოგი და ანესთეზისტი.

– ჟურნალისტობა როდის და რატომ დაიწყეთ?

– ყველაფერი შემთხვევით მოხდა. 1983 წლიდან, ეროვნულ მოძრაობაში ვიყავი – დედაჩემი ისტორიკოსი გახლდათ და ბევრ რამეს სხვა კუთხით ვუყურებდი. ამ დროს, ჩვენი დისიდენტები გეორგიევსკის ტრაქტატის წინააღმდეგ პირველად გამოვიდნენ... ვიცოდი, რომ რუსეთის იმპერიაში 1783 წელს ჩვენი სურვილით კი არ შევედით, არამედ, რუსეთმა თავად დაგვიპყრო. ეს ჩემთვის, 16 წლის გიორგი ფოფხაძისთვის, სადღესასწაულო დღე კი არა, ჩემი ქვეყნის დაპყრობის 200 წლის იუბილე იყო. მაშინ დავუახლოვდი ნანა კაკაბაძეს, ზვიად გამსახურდიას, გია ჭანტურიას, ედუარდ და თენგიზ გუდავებს...

– ირაკლი წერეთელს?

– ირაკლი მერე გავიცანი და მის პარტიაშიც ვიყავი.

– წერეთელი მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანას ითხოვს...

– რა ვიცი... ირაკლი ჩემი მეგობარია და დღემდე დიდ პატივს ვცემ. ყველას თავისი შეხედულება აქვს. ირინა სარიშვილიც ჩემი საუკეთესო მეგობარია, მაგრამ არც ირაკლისა და არც ირინას შეხედულებას არ ვიზიარებ. ვცდილობ, მეგობრებზე არ ვისაუბრო, მით უმეტეს, ცუდი არაფერი ვთქვა... შეიძლება, შიდა სამზარეულში გავიცხო...

მოკლედ, 1986 წელს, როცა ეროვნული მოძრაობა განახლდა, ზვიად გამსახურდიამ რადიო „თავისუფლებაში“ მიმიყვანა და საზოგადოებას ჰელსინკის კავშირის განცხადებებს, მიტინგებსა და მსგავს მოვლენაზე ინფორმაციას ვაწვდიდი. მაშინ უცხოეთში დარეკვა ადვილი არ გახლდათ: ფოსტაში უნდა მისულიყავი და ზარი „კა-გე-ბე“-სთან შეთანხმებით განგეხორციელებინა. ზვიად გამსახურდიას ცენტრალურ ფოსტაში ორი მეგობარი ქალბატონი ჰყავდა, რომელთაც ის მომენტი იცოდნენ, ადამიანები, რომლებიც უცხოეთში შენს საუბარს ისმენდნენ, მოსაწევად, ან საჭმელად გადიოდნენ. სწორედ ამ დროს დაიძახებდნენ ხოლმე: „ხარაგაული, 59-ე კაბინაში!“ ეს ჩვენი კოდი იყო. სინამდვილეში, 59-ე კაბინა საერთოდ არ არსებობდა... ვიცოდი, რომ მე-2 კაბინაში უნდა შევსულიყავი და ინფორმაცია სწრაფად ჩამომერაკრაკებინა. ეს ჟურნალისტიკა კი არა, ჩემი, ასე ვთქვათ, გატაცება იყო...

1990 წელს, თენგიზ გუდავა რადიო „თავისუფლების“ რუსულ რედაქციაში გადავიდა, მეც წამიყვანა და მიუნხენში აღმოვჩნდი... ჩემი ექიმობა აღარ გამოდიოდა, საფრანგეთში ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე. შემდეგ, დისერტაციაც დავწერე და ქალაქ ლილის ჟურნალისტიკის სკოლაში მიწვეული პროფესორის სტატუსით, ევროკავშირსა და ევროსტრუქტურებზე ლექციებს ვკითხულობდი... მერე იყო საინფორმაციო სააგენტო „ასოშეიტედ პრესი“. სხვათა შორის, „ასოშეიტედ პრესის“ თბილისის ბიურო ჩემი დაფუძნებულია და პირველი მთავარი პროდიუსერიც მე ვიყავი... ამ დროს ჩეჩნეთის ომი დაიწყო... იყო აფხაზეთის კონფლიქტი... ყარაბახი, ჩეჩნეთი, ტაჯიკეთი, ავღანეთი და ა.შ. ბოლოს, კოსოვოთი დავამთავრე. ამ პერიოდში, მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიები გამოვიცვალე. რადიო „ფრანსს“ ბრიუსელში ჟურნალისტი სჭირდებოდა, საკმაოდ მწარე კონკურსი გავიარე. საერთოდ, ბრიუსელი, მოსკოვი და ვაშინგტონი ის სამი ძირითადი ადგილია, სადაც მუშაობაზე ყველა ევროპელი ჟურნალისტი ოცნებობს – ამ 3 ქალაქში, როგორც ამბობენ, მსოფლიოს ბედი წყდება. ამ სამს ახლა პეკინიც მიემატა... ერთი სიტყვით, ამ ქალაქებში მუშაობა კარიერის მწვერვალია! სალომე ზურაბიშვილის დახმარებით, რადიო „ფრანსის“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტად დამნიშნეს, სადაც, პრაქტიკულად, 10 წელი – 2002-დან 2012-მდე ვიმუშავე. ნატო-სა და ევროსტრუქტურებშიც მიმუშავია. 2008 წელს, „ევრონიუსში“ ვიმუშავე, საიდანაც სკანდალით და პროტესტის ნიშნად წამოვედი – „ევრონიუსის“ რუსულ სამსახურს დავუპირისპირდი, რომელიც 2008 წლის ომის დროს პუტინის იდეოლოგიასა და მისთვის სასურველ ინფორმაციებს გადასცემდა...

2010 წლიდან ჩემი და „ობიექტივის“ ურთიერთობა დაიწყო. ისე, მე, ირმა ინაშვილი და „ობიექტივის“ გუნდი აფხაზეთის ომიდან ვმეგობრობთ. ისინი ის ადამიანები არიან, რომლებიც ბრიუსელში სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდნენ და ამხელდნენ. თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ამ ტელევიზიაში უსასყიდლოდ ვიმუშაო. უკვირთ და მეკითხებიან ხოლმე, უსასყიდლოდ როგორ მუშაობო. ვპასუხობ, მეგობრები და თანამებრძოლები ყველაზე ძვირფასები არიანმეთქი.

დღევანდელი ჩემი ძირითადი სამუშაო „პირველი არხია“, სადაც ბრიუსელიდან ვერთვები ხოლმე. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მალე ძალიან დიდ ბიუროს გახსნის და ორი გადამღები ჯგუფი ეყოლება – მე და ბიუროს დამფუძნებელი ქეთი ქარდავა. ადამიანისთვის, რომელიც 22 წელია, ჟურნალისტიკაშია, მნიშვნელობა არ აქვს, ბიუროს შეფი იქნება თუ არა. ჩემი კარიერა გავიარე, ქეთი ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ. ამიტომ ამ საქმეს ის უხელმძღვანელებს...

– ბატონო გიორგი, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მაყურებლის სიმცირეს რატომ უჩივის?

– მხოლოდ საქართველოში კი არა, უცხოეთშიც „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ უფრო ცოტა მაყურებელი ჰყავს, ვიდრე – კომერციულ ტელევიზიას, სადაც მეტი რეკლამა და თოქ-შოუა. ჩვენ ამის ფუფუნება არ გვაქვს – ისეთ მყვირალა და მძაფრ თოქ-შოუს ვერ გავაკეთებთ, როგორსაც, ვთქვათ, „რუსთავი 2“, ან „იმედი“ აკეთებს. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ კლიშეებში ზის, რადგან ფულს კერძო მფლობელი კი არ გვიხდის, არამედ, საზოგადოების ჯიბიდან ვფინანსდებით. კერძო ტელეარხებს შეუძლიათ, რამეს „იგნორი“ გაუკეთონ, მხოლოდ ერთი მხარის მოსაწონი ინფორმაცია გააშუქონ და რამე შეგნებულად გაამწ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-14 ᲒᲕ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თველოში კი, არ დაადგა ამ კანონის მიღებას საშველი... პარადოქსია, არა?!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მუსულმანთა სკოლა-პანსიონები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამუფთოს გადაწყვეტილებით უნდა იხსნებოდეს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებითა და ლიცენზიით!

დღეს საქართველოში 36 მუსულმანური სასწავლებლები – მედრესე მოქმედებს, აქედან, 24 აჭარაში ფუნქციონირებს და ლიცენზია ერთსაც არ აქვს, ანუ უკანონოა! ქობულეთში, ლერმონტოვის ქ. №13-ში მდებარე შენობის მეპატრონე შპს „M & B“-ის დამფუძნებელი მუსტაფა ბუიუქია, რომელმაც აღნიშნული მეწარმე სუბიექტი მის სახელზე დაარეგისტრირა მხოლოდ იმ მიზნით, რომ იქ მედრესე გახსნილიყო. მას დღემდე სამეწარმეო საქმიანობა არ განუხორციელებია. აღნიშნული შენობა არაა დარეგისტრირებული, როგორც ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლისა და დასუფთავების მომხმარებელი, მიუხედავად ამისა, 2014 წლის 1 აგვისტოს, მან შენობა 1000 ლარად ა.ა.ი.პ „ქართველ მუსლიმანთა ერთობას“ (თავმჯდომარეს რამაზ კაკალაძე) მიაქირავა. აქვს თუ არა იჯარის თანხა გადახდილი კაკალაძეს? – ეს ცალკე კვლევის საგანია...

შედარებისთვის: 2014 წლის ნოემბერში, ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე, ფიზიკური პირი, ლეონიდ ჩერნოვეცკის „სოციალური პარტნიორობის ფონდმა“, გიორგი მაზნიაშვილის სახელობის საბავშვო პანსიონი გახსნა. ფონდის წარმომადგენელთა განცხადებით, პანსიონი აჭარის რეგიონში მცხოვრებ 50 ბავშვზე იყო განსაზღვრული, რომლებიც სოციალურად უაღრესად დაუცველ ოჯახებში ცხოვრობდნენ. ბავშვები პანსიონში უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ კვებით, ტანსაცმლით, ტექნიკით, სამედიცინო მომსახურებით და სხვა სიხარულით, რასაც ეს ბავშვები მოკლებულნი იყვნენ, განათლებას კი, ქ. ქობულეთის მე-3 საჯარო სკოლაში მიიღებდნენ. 2015 წლის იანვარში, „სოციალური პარტნიორობის ფონდი“-ს მიერ დაარსებული საბავშვო პანსიონი ხელისუფლებამ დახურა, რის მიზეზადაც პანსიონის მხრიდან არალიცენზირებული საქმიანობა დაასახელა...

ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოში რამდენიმე სხდომა უკვე ჩატარდა, ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება არაა მიღებული და ძალიან ცუდი იქნება, თუ ბავშვების ეს ერთადერთი სიხარულიც ისევ ქართველთა ხელით გაქრება...

სამაგიეროდ, არ დაგავიწყდეთ, რომ 36 მედრესე ფუნქციონირებს საქართველოში, ლიცენზიის გარეშე და ხმის ამომღები არავინაა!

აქვე ვაფიქსირებ: პატივს ვცემ მუსულმანებს, სუნიტებსაც და შიიტებსაც, მაგრამ ვერ შევეგუები ვაჰაბისტებს და პანისლამურ იდეოლოგიას! მე მუსულმანი ბებიის გაზრდილი ვარ, ჩემი ღრმა რწმენით, ის ყველაზე დიდი ქართველი იყო იმიტომ, რომ ჭეშმარიტად უყვარდა დედა საქართველო!

მე დღეს იმ გზით დავდივარ სახლში, რომელ გზასაც დიდი გულო-აღა კაიკაციშვილის კვალი ეტყობა, იგიც ქართველი მუსულმანი იყო!

ესაა ჩვენი „აჭარული სამართალი“ და დანარჩენი თქვენ განსაჯეთ, ჩემო ქართველებო!

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲚᲐᲓᲐᲫᲔ

12 № 23 (287) 10 – 16 ივნისი 2015

ეროვნული ტაძარი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტურგიკული. ეკლესიური. ეროვნული

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ადვოკატის ტრიბუნა

მე-4 გვერდიდან

იძიებენ საქმეს, რადგან ისევ „ნაცების“ მოსვლის ეშინიათ, ვაიდა, დაბრუნდნენ, მერე რა გვეშველებაო?

სტალინი რომ მოკვდა, ხალხს მისი 40 წლის განმავლობაში ისევ ეშინოდა. ასეა ადეიშვილიც და სააკაშვილიც, ოღონდ მათი მობრუნების ეშინიათ. კანონში წერია, რომ დაბალი თანამდებობის პირს, თუ გამოძიებას მაღალ ეშელონებში გაიყვანს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ავტომატურად ეხსნება. ეს მათ უნდა გამოიყენონ, ვისაც რამე აქვს სათქმელი. ზოგი კომპრომატების გამომჟღავნების შიშით დუმს... მიშა ქარიზმატული და ფანატიკოსია, თან მშიშარაა. ამიტომაც იყო, 2008-ში, გორის მიწა რომ მოხნა და უკან ისე გამოიქცა.

– მიხეილ სააკაშვილმა ლაზიკაზეც ისაუბრა...

– ჯერ ერთი, ლაზიკა ხომ ფოთთან ახლოს უნდა გაშენებულიყო? გემები ხომ შემოდის ფოთის პორტში და რა საჭიროა ახალი პორტის გაკეთება? ახლა, რა ხდება: იქ, სადაც ლაზიკა უნდა აეშენებინათ, არის ჭაობი, რომელიც უნდა ამოეშროთ. სხვათა შორის, ეს ადგილი ფრინველთა ყველაზე დიდი მიგრაციის მარშრუტია. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგის ტერიტორიებს კი, გაერო-ს რამსარის კონვენცია იცავს, რომელსაც საქართველო 1996 წელს შეუერთდა, ანუ ის ჭაობი არ უნდა ამოეშროთ, რათა ბუნებას და ფრინველებს საფრთხე არ შექმნოდათ. ესე იგი, სააკაშვილი თან ევროპას ეუბნებოდა, აი, შენთან ვარ, ხელშეკრულებას ვიცავო და თან საპირისპიროს გაკეთება უნდოდა. ამ კონვენციას იმიტომ ხარ მიერთებული, რომ მსოფლიო ეკოლოგიური კატასტროფა არ გამოიწვიო.

ჰო, მართლა, მიშამ ისიც თქვა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური „ნიუსები“ იმით კი არ უნდა იწყებოდეს, ხადურმა მორიგი ციკანი შეჭამაო, არამედ იმით, რომ ახალი პროექტები განვითარდაო. ვეთანხმები, კი ბატონო, მაგრამ ციკანზე მიშა ნუ ილაპარაკებს, რა?!

– რატომ, ქალბატონო ელზა?

– ჩემი თვალით მინახავს, თუ როგორ იდგა ვერაზე, რესტორნის გარეთ, 30-მდე შეიარაღებული, მოსიარულეებისკენ ავტომატმიშვერილი ნიღბიანი და იცავდა მიშა სააკაშვილს, რომელიც რესტორანში იმყოფებოდა. მეგონა, ვიღაც საშიში კრიმინალი აიყვანეს, ან სპეცოპერაცია იყო, ან ბოლოს და ბოლოს, ომი დაიწყო-მეთქი... თურმე, ეს ჩვენი პრეზიდენტი სუშის არ მიირთმევს?! მშობიარე ქალი ქმარს მანქანით, საავადმყოფოში მიჰყავდა და არ გაატარეს, არ გვაინტერესებს, საიდანაც გინდა, იქიდან მოუარეაო.

– ესე იგი, ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი მშიშარაა?

– მშიშარაა, აბა, რა?! ნახმარი ცხვირსახოცივით რომ მოისროლა საქართველოს მოქალაქეობა... თუ მართალი ხარ, შე კაცო, ჩამოდი, თუ ვერ დაგიმტკიცებენ, არ ჩაჯდები, თან ხომ იურისტი ხარ და ამტკიცებ, აშშ-ში სხვის პროცესებს ვიგებდიო... ჩამოვიდეს და ჩაჯდეს, როგორც მერაბიშვილი ზის, მაგრამ ეშინია...

– მიშა რომ ჩამოვიდეს და ციხეში ჩაჯდეს, შესაძლოა, ეროვნული გმირი გახდეს...

– პიარი ასეთია: ხანდახან შეცდომის აღიარებით, 10-ჯერ მეტ ქულას იწერ და დარწმუნებული ვარ, რომ პიარსპეციალისტები და მრჩევლები ეტყოდნენ კიდეც, მაგრამ მაგის გაკეთებას ხომ „ერთი ადგილი“ უნდა?! ჰოდა, მშიშარაა ეს კაცი.

– ქალბატონო ელზა, როგორც ადვოკატმა, მითხარით, რამდენად სამართლიანია, რომ მიხეილ სააკაშვილს ძებნა გაუუქმდა?

– გაოგნებული ვარ. არ ვიცი შიდა სამზარეულოში რა მოხდა... ერთ რამეს გავიხსენებ: თემურ ბასილია მიშამ ძებნაზე „დასვა“. ეს კაცი აშშ-ის მოქალაქე და აშშ-ში დაფასებულია. ჰოდა, ბასილია დღემდე ძებნილია. ძებნას იმიტომ არ უხსნიან, რომ საქართველომ უნდა მისცეს ნებართვა. სააკაშვილის შემთხვევაში როგორ მოხდა?! ვინ მისცა ნებართვა, ან რატომ?! ამიტომ ვფიქრობ, რომ „ქოცებთან“ რაღაც თემაში გაიცვალა...

ესაუბრა ბექა ღიბრაძე



უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს

მე სიყვარულით
გული ამევსო,
სიყვარული ხომ
მოდის ციდანო.
უწმინდესო და
უნეტარესო,
სიცოცხლეშივე
მართლა წმინდანო.
სხვა მე არავინ
არ მეგულება,
მზე სამებისა
კვლავაც ნათელობს,
შენი სიწმინდე
და ერთგულება
თუ გადაარჩენს
ჩემს საქართველოს!

ჯანსუღ ჩარკვიანი

მილოცვა

75 წლის გენო კალანდიას

შენ ყოველთვის გამორჩეული იყავი, როგორც პოეტი და როგორც მამულიშვილი. შენ შენი გზა გქონდა. ყალბი არც გზა გქონია და არც – სტრიქონი. შენი ცნობიერება ჭეშმარიტებაა, რაც სამკაულად ახლავს შენს შემოქმედებას. შენი სიყვარული მოდიოდა ციდან და სიყვარულით ეფერებოდი გულს და არა მარტო – შენსას.

რა დამავიწყებს იმ საშინელ დღეს - მე და შენ ერთად ვიყავით აფხაზეთში. ისიც მინდა ვთქვა, ჩვენ ჩვენი ძმებისთვის ტყვია არ გვისვრია. ჩვენ შერიგებას ვთხოვდით ჩვენს ძვირფას მეგობრებს და ვეუბნებოდით: „დარჩებით ჩვენთან? – თქვენ დარჩებით აფხაზებად! წახვალთ ჩვენგან? – თქვენ იქნებით რუსები!“

ჩემო გენო, მე სიყვარულით გილოცავ 75 წლისთავს და კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ!

ახლა, აფხაზეთთან დაკავშირებით, ერთ საუცბისო ლექსს გეტყვი:

მერე რა, მიდი-მოდის დრო,
შორსა ვართ ქედის მოხრამდი,
სოხუმში გახლდით ომის დროს,
მიწაზე არ დავფოფხავდით!

მარად შენი, ჯანსუღ ჩარკვიანი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

10 – 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 2015

№ 23 (287)

13

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲜᲯᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ: „ᲘᲠᲐᲜᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲙᲝᲠᲔᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ!“

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲘᲣᲕᲐᲚ ᲤᲣᲥᲡᲗᲐᲜ

რა გამოწვევების წინაშე დგას ისრაელის სახელმწიფო და შეიცვალა თუ არა ხელისუფლებების შეცვლის შემდეგ საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობა? – გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, იუვალ ფუქსთან, რომელიც საინფორმაციო სააგენტო „ჯი–ეიჩ–ენ“–მა გაავრცელა.

– მოგესალმებით, ბატონო ელჩო.

– მოგესალმებით. რამდენი თვეა, ერთმანეთს არ შევხვედრილვართ.

– მთავარია, შევხდით!

– როგორ ბრძანდებით?

– გმადლობთ, კარგად. თქვენ?

– მეც, ასევე. რაც მთავარია, კარგ განწყობაზე ვარ – ცხელი ზაფხული გვაქვს. თუმცა შიგადაშიგ წვიმაც გვაგრილებს.

– ისე, ისრაელს გაზაფხულიც ცხელი ჰქონდა – პოლიტიკურ ტემპერატურას ვგულისხმობ...

– დიახ, იმდენად ცხელი ზაფხული არ გვაქვს, რამდენადაც ცხელი ზამთარი და გაზაფხული გვქონდა და პოლიტიკური ტემპერატურა ახლანდელზე მაღალი იყო... ისრაელს ახალი კოალიციური მთავრობა ჰყავს, პარლამენტში ახალი პარტიებიც არიან წარმოდგენილნი. უნდა აღინიშნოს, რომ ახლანდელ კოალიციაში ზოგიერთი პარტია, რომელიც წინა კოალიციის შემადგენლობაში იყო, აღარაა.

– ახალ მთავრობას მოსახლეობა, როგორც წესი, ახალ იმედებს უკავშირებს, თუმცა ზოგი იმთავითვე, სკეპტიკურადაა განწყობილი. ისრაელის ახალი ხელისუფლების პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი რა არის?

– ისრაელის პოლიტიკასთან დაკავშირებით ორ რამეს გეტყვით: პირველ რიგში, იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ისრაელმა საარჩევნო პერიოდიდან დღემდე გამოიარა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პოლიტიკა სიურპრიზებითაა სავსე და დემოკრატიის უმთავრესი მახასიათებელიც სწორედ ეს სიურპრიზებია. მეორეც, საქართველოსთან დაკავშირებით ცვლილება არაა. ცვლილებები მხოლოდ ისრაელის კი არა, საქართველოს მთავრობაშიც მოხდა და ახლა, როცა საარჩევნო პოლიტიკური პროცესები დაწყნარებულია, სხვადასხვა სფეროში დაწყებული ურთიერთობის გაღრმავებას უფრო დინამიურად შევუდგებით.

– როგორც ბოლო დღეებში ითქვა, ისრაელი მზადაა, პალესტინის ავტონომია აღიაროს. ბატონო ელჩო, „სიურპრიზებში“ ამას ხომ არ გულისხმობთ?

– არა... „სიურპრიზებში“ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს ვგულისხმობდი. მაგალითად, წინასაარჩევნოდ გამოკითხვები ჩატარდა, თუმცა პროცესები ისე განვითარდა, რომ არჩევნების შედეგები პოლიტიკური ანალიტიკოსებისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

– ისრაელის წინასაარჩევნო პერიოდს თვალს მეც ვადევნებდი და მთელი რიგი ტრადიციული პარტიების კოალიციის მიღმა დარჩენა ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ქვეყნის განვითარების კურსი, როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეიცვლება?

– მოდით, ჯერ პალესტინასთან ურთიერთობასა და ისრაელის მხრიდან მისი აღიარების შესაძლებლობას დავუბრუნდეთ. მინდა, ყურადღება რამდენიმე ასპექტზე გავამახვილო, რომელიც ისრაელის პრემიერ–მინისტრს, ბატონ ნეთანიაჰუსაც არაერთხელ აღუნიშნავს. ახლახან, პრემიერი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კომისარ მოგერენს და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტაინმაიერს შეხვდა. შეხვედრებზე აღინიშნა, რომ ისრაელს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ერთი სახელმწიფოს ასრებობის არ სჯერა. ისრაელი მომხრეა, რომ ორმა სახელმწიფომ იარსებოს: ისრაელის სახელმწიფომ, რომელიც ებრაელი ხალხის სახელმწიფოდ აღიარებული იქნება და პალესტინის სახელმწიფომ, რომელიც პალესტინელების სახლია. ისრაელი მზადაა, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს, ლაპარაკია პირდაპირ მოლაპარაკებებზე და თუ რამოდენიმე პუნქტი იქნება შესრულებული, ორი ქვეყნის არსებობასთან დაკავშირეით გადაწყვეტილება მიღწეული იქნება. პირველ რიგში, პალესტინა უნდა განიარაღდეს და არ უნდა ჰქონდეს სამხედრო პოტენციალი, რაც ისრაელს საფრთხეს შეუქმნის. მეორე მოთხოვნა ისაა, რომ პალესტინამ უნდა აღიაროს ისრაელი, როგორც ებრაელი ხალხის სახელმწიფო. აუცილებლად მესამე მოთხოვნაც უნდა შესრულდეს – პალესტინამ ისრაელის წინააღმდეგ პოლიტიკური და დიპლომატიური კამპანია უნდა შეწყვიტოს.

– ამ კამპანიაში ფიფა-ში განვითარებულ მოვლენებს გულისხმობთ?

– დიახ, რამდენიმე დღის წინ, პალესტინამ სცადა, ისრაელში ფიფა-დან გარიცხვის საკითხი დაეყენებინა. ასეთი ქმედება მიუღებელია. წარმოგიდგენიათ, საქართველოს ანალოგიით, რომელიმე თვითაღიარებულმა ორგანომ ფიფა-ში საქართველოს საწინააღმდეგო კამპანია რომ წამოიწყოს? ეს საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება. შესაბამისად, ჩვენთვის პალესტინელების ქმედება მიუღებელია.

– მიდგომები, თუნდაც პალეტინასთან დაკავშირებით, ფორმულირებული და ხალხისთვის ზედმიწევნად გასაგებია. ამ ფონზე, მოქალაქეები ახალი ხელისუფლებისგან რას ელიან?

– ისრაელის მოსახლეობა ახალი ხელისუფლებისგან ცვლილებებს ისევე ელოდება, როგორც ეს სხვა ქვეყნების შემთხვევებში ხდება – ძვრები სამშვიდობო პროცესში, უსაფრთხოების საკითხები, განათლების სფეროს განვითარება, ეკონომიური მიღწევების გაუმჯობესება. საქართველოს მსგავსად, ეკონომიკური გამოწვევები ისრაელსაც აქვს. ყველაფერი ეს რომ შევაჯამოთ, ისრაელის მოქალაქეები ახალი მთავრობისგან ყველა მიმართულებით პროგრესს ელიან. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ „ლიკუდისა“ და კოალიციაში შემავალი სხვა პარტიისთვის ხმა ისრაელის ყველა მოქალაქეს არ მიუცია. შესაბამისად, არიან მოქალაქეები, რომლებიც გამარჯვებულ კოალიციას მხარს არ უჭერენ, თუმცა ეს დემოკრატიის ნაწილია.

ასევე, კარგად გვესმის, რომ ისრაელისთვის ნომერ პირველი ამოცანა მაინც უსაფრთხოება და სამშვიდობო პროცესია, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და განვითარება სხვა სფეროებშიც გვინდა.

– ბატონო ელჩო, მართალია, ხაზს უსაფრთხოებას უსვამთ, მაგრამ ისრაელის სახელმწიფო, პალესტინასთან სამშვიდობო პროცესის პარალელურად, მსოფლიოს ღიად ეუბნება, რომ კიდევ არაერთი საფრთხე არსებობს, რომელიც პრობლემებს მხოლოდ ისრაელის სახელმწიფოს კი არა, რეგიონალურ უსაფრთხოებასაც უქმნის...

– დიახ, ისრაელისთვის უსაფრთხოება ყველაზე ცხელი თემაა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური არჩევნების წინა პერიოდში, ან არჩევნების დროს ხდება. ყველა პარტია იზიარებს მოსაზრებას, რომ უსაფრთხოება ეგზისტენციალური საკითხია, თუმცა მათთვის უსაფრთხოების მიღწევის გზები განსხვავებულია. მოცემულ მომენტში, ისრაელს, სულ მცირე, სამი გამოწვევა აქვს: უპირველესი გამოწვევა ის ტერორისტული ორგანიზაციებია, რომლებიც ისრაელის საზღვრის მთელს პერიმეტრზე მოქმედებენ, მხედველობაში მაქვს „ჰამასი“, „ჰესბოლა“ თუ სხვა ორგანიზაციები. აქვე, შეგახსენებთ: 2009-2012-2014 წლებში, ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით ათასობით ჭურვი იქნა გამოტყორცნილი. 2006 წელს ეს ჩრდილოეთიდან მოხდა, 2009-2012-2014-ში კი, – ღაზას სექტორიდან. საზღვრო ზოლის გასწვრივ, ასევე, „ალ ქაიდა“ და სხვა დაჯგუფებებიც მოქმედებენ. ისინი გამოწვევას მხოლოდ ისრაელისთვის კი არა, ისრაელის მეზობლებისთვისაც წარმოადგენენ. შედარებისთვის ვიტყვი: 2008 წლის საქართველოს ომის ანალოგიურ სიტუაციაში ისრაელი უკვე სამჯერ იმყოფებოდა და ეს კონფლიქტი აგვისტოს 5-დღიან ომზე დიდხანს გაგრძელდა. ამ ვითარებაში დაბრუნება, რასაკვირველია, არ გვინდა და ამ ვითარების გაუმჯობესებას სწორედ ამ ხელისუფლებისგან ველით.

მეორე გამოწვევა კი, ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენებია.

– სირიაში მიმდინარე მოვლენებს გულისხმობთ?

– დიახ, სირიასა და ერაყში. კარგად მოგეხსენებათ, იქ რაც ხდება. არაერთხელ აღმინიშნავს და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს სახელმწიფოები საქართველოსგან არცთუ შორს მდებარეობენ. ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს თვალს ვადევნებთ და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, რადგან სიტუაცია აბსოლუტურად არასტაბილურია.

– გეთანხმებით: ახლო აღმოსავლეთის ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენები, დიდ საფრთხესთან ერთად, ნებისმიერი გონიერი ადამიანისთვის დიდი ტკივილის მატარებელიცაა... მესამე გამოწვევაზე რას იტყვით?

– მესამე გამოწვევა ირანია, რომელიც ხელმოწერილი შეთანხმების მიუხედავად, ატომურ პროგრამას მაინც ანვითარებს. ისრაელს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეს კარგი შეთანხმება არ არის და არც ფუნქციონალური იქნება, რადგან სანქციების გაუქმებით, ირანს შესაძლებლობა მიეცემა, ფრთები უფრო მეტად გაშალოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ირანი ტერორისტულ ორგანიზაციებს ამარაგებს და ამასთან, დასავლეთის წინააღმდეგ კიბერშეტევებსაც აწარმოებს. ირანი ისრაელს სიმსივნეს უწოდებს და სხვა თუ არაფერი, ირანი, რომელიც ტრადიციული იარაღითაა შეიარაღებული, საშიშია და იმის წარმოდგენაც კი რთულია, თუ ატომური იარაღი ექნება, რა შეუძლია. ირანი რეგიონზე, ყველანაირ ასპექტში, დამანგრეველ გავლენას ახდენს. მინდა დაგარწმუნოთ, რომ იემენში, სირიასა თუ სხვა სახელმწიფოებში ისრაელზე არანაკლებ არიან შეშფოთებულნი და ირანს არანაკლებ საფრთხედ მიიჩნევენ.

– მიუხედავად ამისა, ექვსეული ჩარჩო ხელშეკრულების მიღებას მაინც დასთანხმდა.

– ლოზანას ხელშეკრულებით, რომელიც ჯერ კიდევ შეთანხმების პროცესშია, ირანი ჩრდილოეთ კორეის გზას დაადგება და ინსპექციების მიუხედავად, უახლოეს მომავალში, ატომური იარაღი ექნება.

– დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობ. თქვენ საფრთხეებზე მიუთითებთ, ექვსეული კი, რეალურად, სხვა რამეზე თანხმდება. ამის მიზეზი რა არის?

– დიახ, ჩარჩო ხელშეკრულებაზე თანხმობა გამოცხადებულია და მუშაობა დეტალებზე მიდის. ისრაელს მიაჩნია, რომ ეს იქნება დამანგრეველი შეთანხმება, რომელიც იქამდე მიგვიყვანს, რომ ირანი მეორე ჩრდილოეთ კორეად გადაიქცეს. შემიძლია გითხრათ, რომ ირანის ატომურ პროგრამასთან დაკავშირებული ისრაელის შიში რეალურია და ამ მოსაზრებას ისრაელის მთელი პოლიტიკური სპექტრი, მათ შორის, ოპოზიციაც იზიარებს.

– საუბარი ძალიან დაგვიმძიმდა...

– მესმის, მაგრამ ეს რეალობაა.

– ისიც რეალობაა, რომ საქართველოში ისრაელიდან ჩამოსული ტურისტების რაოდენობა იზრდება: ბოლო ოთხი წელია, ჩემს მეგობრებს ვმასპინძლობ. წელს, 26 მაისსაც ჩამოვიდნენ, ანუ საქართველო ისრაელისთვის, ტურისტული თვალსაზრისით, საინტერესო ქვეყანა გახდა, არა?

– დიახ, სწორად აღნიშნე: საქართველოში ისრაელის ტურისტების რაოდენობა ყველწლიურად იზრდება – 8,5 მილიონიანი ქვეყანა, ტურისტების რაოდენობის უკვე ათეულში შედის. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეებს ისრაელში ვიზა არ სჭირდებათ და ერთი წლის განმავლობაში, საქართველოდან ისრაელში ჩასულთა რაოდენობა გაორმაგდა.

ტურიზმის გარდა, საკმაოდ კარგი ურთიერთობები გვაქვს სოფლის მეურნეობის სფეროში – რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ასევე, პროექტები ხორციელდება რეგიონებში. მხედველობაში მაქვს ტრენინგები, ფერმერთა გადამზადება, კონსულტაციები... რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კულტურული ურთიერთობებიც – ამჟამად მიმდინარე სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ჩვენი ფილმიცაა წარმოდგენილი.

– ჩვენი კულტურული და, გნებავთ, ეკონომიკურ ურთიერთობაზე საზოგადოებისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, მაგრამ, ბატონო ელჩო, ინტერვიუს მნიშვნელოვანი ნაწილი უსაფრთხოებას დაუთმეთ, რაც საქართველოსთვისაც, ასევე, უმნიშვნელოვანესია. მესმის, არის საკითხები, რაზეც ღიად ვერ ილაპარაკებთ, მაგრამ როგორია უსაფრთხოების სფეროში საქართველოსა და ისრაელის თანამშრომლობა?

– უსაფრთხოება საკმაოდ ფართო ცნება და ტაბუ, რომელზეც ისრაელისა და საქართველოს წარმომადგენლებს ლაპარაკი არ შეგვიძლია, ერთ პუნქტშიც არ არსებობს. ახლახან, ამ თემაზე პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილსა და თავდაცვის მინისტრს, ქალბატონ თინა ხიდაშელს შევხვდით. ასევე, გვაქვს შეხვედრები საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში. ცალკეული ფორმატები, რომელზეც მოლაპარაკებები გვქონდა, უკვე საქმიანში გადადის. გვყავს სამუშაო ჯგუფი და სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებთან აქტიურ ტრენინგებს ვატარებთ.

– როგორ აფასებთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, თუნდაც წინა ხელისუფლების ფონზე? საქართველოში ცხოვრება შეიცვალა?

– საქართველოში, 2012 წლის აგვისტოში ჩამოვედი. მოგეხსენებათ პირველ ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა და მოღვაწეობა, პრაქტიკულად, ახალი ხელისუფლების პირობებში მიწევს. ძალიან მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია, რომ ამ ხნის განმავლობაში სამი არჩევნები ჩატარდა და, სამივემ, დემოკრატიის თვალსაზრისით, საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო. საქართველოს წინსვლა, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, რიგის სამიტზეც დაფიქსირდა.

რაც შეეხება დემოკრატიულ განვითარებას, ეს აშკარად შესამჩნევია.

– თუმცა, ოპოზიცია პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს, დაკავებულნი არიან ყოფილი პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, დედაქალაქის მერი. სისხლის სამართლის საქმეა აღძრული პრეზიდენტ საკაშვილის წინააღმდეგ. ამ საკითხის თქვენეული შეფასება როგორია?

– ამ მიმართულებით შეფასების გაკეთება ჩემი საქმე არაა. საქართველო ერთადერთი უნიკალური ქვეყანა არ არის, სადაც ყოფილ ან მოქმედ პოლიტიკოსებს კანონის წინაშე წარდგომა უწევთ. ასეთი რამ სხვა ქვეყნებშიც მომხდარა და ხდება.

– მაგალითად, თქვენს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ახლახან პატიმრობა მიესაჯა.

– დიახ და ეს საქმეები კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების სრული დაცვით უნდა იყოს წარმართული. ეს პროცესი აუცილებლად გამჭვირვალე უნდა იყოს, რომ ყველამ ნახოს, სინამდვილეში რა ხდება. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო: არ მგონია, ამ პროცესის უკეთესი შემფასებელი ვიყო, ვიდრე საქართველოს თითოეული მოქალაქეა!

– შესაშურად დიპლომატიური პასუხია. დიდი მადლობა, ბატონო ელჩო, საინტერესო საუბრისთვის. მოხარული ვიქნები, თუკი ჩვენი ურთიერთობა და მეგობრობა კვლავაც გაგრძელდება.

– მადლობა, თქვენთან შესახვედრად ყოველთვის მზად ვარ.

ესაუბრა ᲒᲝᲩᲐ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ
„ჯი-ეიჩ-ენ“-ი

14 № 23 (287) 10 – 16 ივნისი 2015

ქართული იტალია

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სპორტი

ქართულ სპორტში ახალი სკანდალი მწიფდება

30 მაისს, თბილისში, ბოდი ბილდინგსა და ფიტნესში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდა, რამაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია... როგორც ჩანს, საქართველოში „შვარცნეგერობა“ ნელ-ნელა მოდური ხდება და ამაზე ბევრი ფიტნეს დარბაზი და „კუბიკებიანი“ ახალგაზრდაც მიანიშნებს. ვინ იცის, „საქართველოს ბოდი ბილდინგის ფიტნესისა და ბოდი ფიტნესის ფედერაციის“ პრეზიდენტის, ზაალ რუხაძის წინამდებარე ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, ამ სპორტით შესაძლოა, თქვენც დაინტერესდეთ... ისე, საქართველოში სპორტის ამ სახეობის კიდევ ერთი ფედერაცია არსებობს, რომელსაც ოდნავ განსხვავებული სახელი აქვს...

რატომ არსებობს ბოდი ბილდინგის ორი ფედერაცია და გახდება თუ არა საქართველოში „შვარცნეგერობა“ მოდური

– ბატონო ზაალ, ადამიანი ბოდი ბილდინგით რა ასაკიდან უნდა დაკავდეს?

– ამ სპორტით დაკავება რეკომენდირებული 15 წლიდანაა. ბოდი ბილდინგი მხოლოდ ფიზიკურ აქტივობას არ მოიცავს – ეს ცხოვრების წესია, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ორგანიზმი გარკვეულ დატვირთვას 15 წლიდან გაუმკლავდეს.

– მაშინ, როცა ორგანიზმი უკვე ჩამოყალიბებულია, სასურველი ფორმის მიღება მაინც შესაძლებელია?

– რა თქმა უნდა, თუმცა სხვადასხვა ასპექტია გასათვალისწინებელი. ვარჯიშისას დიდი მნიშვნელობა აქვს კვებას, ცხოვრების წესს. ასევე, არსებობს გარკვეული სახის დანამატები, რომლებიც შედეგის განმაპირობებელია. მოკლედ, სასურველი შედეგის მიღება ნებისმიერ ასაკში შეიძლება.

– პროფესიონალი ბოდი ბილდერის დღის წესრიგი როგორია?

– პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ბოდი ბილდინგი სპორტზე ბევრად მეტია და ბევრი ასპექტის სინქრონიზებას მოითხოვს. პროფესიონალები დიდ ყურადღებას აქცევენ კვებას – არ ჭამენ ე.წ. დესერტს და შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე, მხოლოდ ცილებს იღებენ.

ვარჯიშისას სიმეტრიის დაცვაც მნიშვნელოვანია, რათა სხეული პროპორციულად განვითარდეს, თუმცა ყველა პროფესიონალს ინდივიდუალური მიდგომა და მიზანი აქვს, შესაბამისად, ერთმანეთისგან მათი დღის წესრიგიც განსხვავდება.

– დატვირთვის გათვალისწინებით, ბოდი ბილდინგი ჯანმრთელობას, ალბათ, ხშირად აზარალებს...

– ყველა სპორტს თავისი „გართულება“ აქვს, მაგრამ თუ ბოდი ბილდერი ყველაფერს სწორად მიჰყვება – იტარებს სარეაბილიტაციო პროცედურებს და ორგანიზმს ასვენებს, პრობლემა არ შეექმნება.

– რეაბილიტაციის პროცესი რას გულისხმობს?

– ამ დროს სპორტსმენები სხვადასხვა დანამატებსა და ვიტამინებს იღებენ, რათა ძალები აღიდგინონ.

– ბოდი ბილდერები აკრძალულ დანამატებსაც იღებენ?

– კი, მაგრამ ნებისმიერ აკრძალულ პრეპარატს, მათ შორის, „სტეროიდსაც“, რომელიც ჰორმონალური დანამატია, ვგმობთ!

– „სტეროიდებს“ საქართველოშიც მოიხმარენ?

– დიახ, თუმცა ვცდილობთ, ეს პრობლემა აღმოვფხვრათ. პრევენციული ზომები უნდა ეხებოდეს დამწყებ სპორტსმენებს, მათ კი, ვისაც დიდი გამოცდილება აქვთ, თვითონ უნდა გადაწყვიტონ, ეს პრეპარატი მიიღონ თუ არა.

– „სტეროიდებს“ ვინ ავრცელებს?

– ძირითადად, კერძო პირები. საერთოდ, „სტეროიდები“ აკრძალული არაა, ანუ ზოგ ტურნირზე დაშვებულია, ზოგზე – არა, მაგრამ რადგანაც ჯანმრთელობისთვის საზიანოა, მის გავრცელებასა და მოხმარებას ვემიჯნებით.

– ჩვენთან ბოდი ბილდინგი პოპულარულია?

– საქართველოში ბოდი ბილდინგის „პიონერები“ ირაკლი გაგუა და ვატო კოპაძე იყვნენ, თუმცა მიღწევების მიუხედავად, ფართო მასებისთვის ცნობილნი ვერ გახდნენ. აქედანაც ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს სპორტი პოპულარული არ იყო, მაგრამ 30 მაისს ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, დაინტერესებამ იმატა: ადამიანებმა ინტერნეტში ეძებეს ინფორმაცია, ბევრმა ინტერესდა, ვინ ვინ ვარ ამ სპორტში, ბევრმა ინტერესდა, ეს ბიჭები ვინ ვარ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

რეულ წლებში, ბოდი ბილდინგის ტურნირებს ორასიოდე ადამიანი თუ ესწრებოდა ხოლმე, 30-ში კი, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს კარგი ორგანიზება ფედერაციამ გაუკეთა და 1 200 დამსწრე მოვიდა.

– „ბოდი ბილდინგისა და ფიტნესის“ ფედერაცია კოორდინაციას რეგიონებში არსებულ დარბაზებსაც უწევს?

– რეგიონებში წარმომადგენლები გვყავს, თუმცა ჩვენი ეგიდის გარეშეც, ბევრი დარბაზი ფუნქციონირებს.

– ფედერაციას სპორტის სამინისტრო აფინანსებს?

– არა, თბილისის მერია.

– ესე იგი, დაფინანსება რეგიონებზე არ ვრცელდება...

– რა თქმა უნდა, არა. მხოლოდ თბილისური ტურნირები და „ივენთები“ ფინანსდება... ვიცით, თუ რა კრიტერიუმებია საჭირო სპორტის სამინისტროს დასაინტერესებლად. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ბოდი ბილდინგი ჩვენს ქვეყანაში პოპულარული სპორტი არაა და ამ ტენდენციის შესაცვლელად გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

– ეს „გარკვეული ნაბიჯები“ სახელმწიფოს გარეშე როგორ უნდა გადადგათ?

– კერძო სექტორისა და თბილისის მერიის იმედი მაქვს, რადგან 30 მაისის შეჯიბრი ქართული სპორტის ისტორიაში ახალი სიტყვა იყო – ეს შოუც იყო და შეჯიბრიც. ერთწლიანი განვითარების ციკლი გვჭირდება, რათა ჩვენი პოტენციალი წარმოვაჩინოთ და შემდეგ, შესაძლოა, რეგულარული დაფინანსებაც მოვითხოვოთ.

– კერძო სექტორიდან მხარს ვინ გიჭერთ?

– უნივერსიტეტი „სეუ“, სასტუმრო „ამბასადორიალი“ და „ლისი დეველოპმენტი“.

– ოდესმე ბოდი ბილდინგი ჩვენთან კომერციულად მომგებიანი გახდება?

– რა თქმა უნდა. საერთოდ, სპორტსმენებისთვის ბოდი ბილდინგი საკმაოდ შემოსავლიანი საქმიანობაა – რეკლამებსა და სხვადასხვა პრომო-ში მონაწილეობის მისაღებად, შეიძლება, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მიგიწვიონ...

– ტურნირებიდან სპორტსმენებს შემოსავალი აქვთ?

– გლობალური მასშტაბით, ყველაზე დიდი საპრიზო ფონდი შეიძლება, 50 000 დოლარი იყოს.

– ბატონო ზაალ, დიდი ტურნირის ჩატარებას როდის გეგმავთ?

– მომავალ ზაფხულს, ბათუმში, შავი ზღვის ტურნირის ჩატარება იგეგმება, რომელშიც მონაწილეობას ათეულობით ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს.

– მასშტაბური ტურნირები აქამდე რატომ არ ტარდებოდა?

– ეს ძველი ფედერაციის ბრალია, რომელიც დღესაც არსებობს და საქართველოში ბოდი ბილდინგის განვითარებას ხელს უშლიდა და უშლის. 4 თვეა, ჩვენი ფედერაცია შეიქმნა და უკვე 86 სპორტსმენი შემოგვიერთდა, ჩვენს წინამორბედს კი, 6 ჰყავს.

– ძველი ფედერაცია ბოდი ბილდინგის განვითარებას რატომ აფერხებდა?

– ამაზე პასუხს მოვერიდები, თუმცა მიჩნდება შეკითხვა: 15 წლის განმავლობაში, შეჯიბრებებზე, 200 კაცზე მეტი დამსწრე რატომ ვერ მოჰყავდა?

– ფედერაციის პრეზიდენტს ეს ვითარება ხელს რატომ აძლევდა?

– ამ საქმეში კომპეტენტური არაა. სპორტსმენებს ერთ ადგილზე ყინავდა და განვითარების შანსს იმიტომ არ აძლევდა, რომ ძველი მეთოდები აქვს შემორჩენილი.

– ძველი ფედერაციის პრეზიდენტი ვინაა?

– კონსტანტინე მაცაბერიძე... ვიცე-პრეზიდენტის ადგილი, ხელფასი და კაბინეტი შევთავაზეთ, თუმცა უარი განაცხადა. მისი აზრით, ბოდი ბილდინგი არავის აინტერესებს და ვერ განვითარდება. ჩვენ კი, 4 თვეში საპირისპირო დავამტკიცეთ: ტურნირზე 1 200 დამსწრე მოვიყვანეთ... პირველადგილოსნები ესპანეთში საკმაოდ დიდ ჩემპიონატზე წავლენ.

– ბატონო ზაალ, რაგბისტი ხართ, „ბოდი ბილდინგისა და ფიტნესის ფედერაციის“ შექმნა რატომ გადაწყვიტეთ?

– როცა სამხრეთ აფრიკიდან ჩამოვედი, ამ სპორტში მძიმე მდგომარეობა დამხვდა. მაცაბერიძე ფედერაციიდან სპორტსმენებს აგდებდა და ჯარიმას ახდევინებდა. ყველას აიძულებდა, ტურნირებზე მისი სახელით გამოსულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რადიკალურ ზომებს იღებდა. სპორტსმენებს იურიდიულად არსად აფორმებდა და შესაბამისად, მათაც არ შეეძლოთ, რაიმე სამართლებრივად გაეპროტესტებინათ, ან წესდებიდან გამომდინარე, პრეტენზია გამოეთქვათ. მოკლედ, სპორტსმენებს ცუდად ეპყრობა. მის ფედერაციაში პრეზიდენტს პრეზიდიუმი ირჩევს, რომელიც მაცაბერიძის ოჯახის წევრებითაა დაკომპლექტებული. მაცაბერიძის ორგანიზაცია საერთაშორისო ფედერაციის წევრია, ამიტომ ამ უკანასკნელის ნებართვის გარეშე, სპორტის სამინისტრო ვერაფერს გააკეთებს. მადრიდში სარჩელი უკვე გავაგზავნეთ, რათა ძველი ფედერაცია თავისი რიგებიდან გარიცხოს და ასეც მოხდება, რის შემდეგაც, სპორტის სამინისტროსაც ექნება სამართლებრივი საფუძველი, რომ ის საბოლოოდ გააუქმოს...

ესაუბრა დავით გალაშვილი

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

„ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐᲡ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ, ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ...“

ადრეული ქორწინების პრობლემა საქართველოში საკმაოდ აქტუალურია, რაც ხვა მიზეზებთან ერთად, გენდერულ, რელიგიურ, ეთნიკურ და რეგიონალურ ფაქტორებს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ნაადრევი ქორწინების უარყოფითი მხარეები ყველამ იცის, ქართული სახელმწიფო ადრეულ ქორწინებაზე არ რეაგირებს. რითი აიხსნება სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი გულგრილობა და რის სანაცვლოდ ათხოვებენ მშობლები არასრულწლოვან გოგონებს? - „ქართულ სიტყვას“ „ქალთა მოძრაობის“ წარმომადგენელი ანა არგანაშვილი და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი ესაუბრნენ:

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ

– ნაადრევი ქორწინების მანკიერ ტრადიციას განსაკუთრებით ხშირად რეგიონებში ვხვდებით... საერთოდ, როცა ნაადრევ ქორწინებაზე ვსაუბრობთ, მხოლოდ 16-18 კი არა, 16 წლამდე ქორწინებაც უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ჩვენს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება და, ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის დანაშაულიცაა.

მინდა, ის რამდენიმე მითი დავასახელო, რომელიც აღნიშნულ პრობლემაზე გულგრილობას იწვევს: ზოგი თვლის, რომ თუ არასრულწლოვან გოგონას გათხოვება უნდა, მის საქმეში ვერავინ ჩაერევა და შეუძლია, გათხოვდეს. ეს აბსოლუტურად დაუსაბუთებელი არგუმენტი და ბავშვთა უფლებების დარღვევაა. მაშინაც კი, როცა აცხადებს, რომ გათხოვება უნდა, არ ვიცით, თუ რამ მიიყვანა ბავშვი ამ გადაწყვეტილებამდე.

– როცა ადრეული ქორწინება მშობლების ნებართვით ხდება, ესეც დანაშაულია?

– მშობელი ისეთ ქმედებას, რომელიც შვილის წინააღმდეგაა მიმართული, ვერ ჩაიდენს - გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციით, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის გამოვლენაზე პასუხისმგებელი მხოლოდ მშობელი კი არა, მთელი სახელმწიფოა. როცა ბავშვის ინტერესი ირღვევა, აქ აუცილებლად სახელმწიფო ორგანოები უნდა ჩაერიონ.

შეგახსენებთ, რომ სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში მოყვანილია ფაქტები, როცა მშობლებმა შვილის ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, გარიგება დადეს - 10 მსხვილფეხა საქონლის სანაცვლოდ გაათხოვეს. საერთოდ, სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირე წამყვანი თემაა, ანუ ოჯახი, რომელიც ბავშვის შენახვას ვეღარ ახერხებს, გამოსავალს გოგონას, როგორც ნივთის გასხვისებაში ხედავს, მაგრამ არ შეიძლება, ეს დანაშაული უმცირესობების პრობლემამდე დავიყვანოთ და ვთქვათ, რომ დანარჩენ საქართველოს არ ეხება. მასწავლებელი, პოლიციელი, ან ექიმი ამ პრობლემაში უნდა ჩაერიოს და რეაგირება მოახდინოს - ამის ვალდებულება აქვს და როცა არ ჩაერევა, კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას დაარღვევს.

ამ პრობლემის გადაჭრას სახელმწიფოს ნება სჭირდება, რაც ადამიანებისთვის განათლების მიწოდებაში გამოიხატება. მართალია, ბავშვებს სკოლაში ასწავლიან, რომ გარკვეული უფლებები გააჩნიათ და ძალადობისგან დაცვა შეუძლიათ, მაგრამ რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ხმამაღლა ლაპარაკის არ უნდა შეგვრცხვეს...

მოზარდები ზოგჯერ მხოლოდ ცნობისმოყვარეობის, ან იმის გამო ქორწინდებიან, რომ ლეგალური სექსი ჰქონდეთ, თუმცა იმას ვერ აცნობიერებენ, რომ ადრეული ქორწინება ჯანმრთელობის რისკთანაცაა დაკავშირებული: დიდი ალბათობაა, რომ არასრულწლოვანს ორსულობა და მშობიარობა გაურთულდეს, რადგან მისი ორგანიზმი ბავშვის გაჩენისთვის მზად არაა...

ამას წინათ, „ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“ ინტერნეტში ფოტოსურათი გაავრცელა, რომელზეც თეთრკაბიანი, მტირალი გოგონა იყო აღბეჭდილი – თურმე, ქმარი პირველად თავის ქორწილში ნახა... გარდაბნის რაიონში მცხოვრებ ქართველებსა და არაქართველებს შევხვდით. ჩემდა გასაკვირად, ნაადრევ ქორწინებას ქართველები უფრო ამართლებდნენ, რა მოხდა, თუ ერთმანეთი უყვართ, ბედნიერები იქნებიანო. მაგალითად, თავიანთი ბებიები მოჰყავთ, რომლებიც 14-15 წლის ასაკში გაათხოვეს და ზოგი, 34 წლის ასაკში, უკვე ბებიაც გახდა. ამ ასაკის ბავშვებს საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა არ შეუძლიათ და დედამთილ-მამამთილზე დამოკიდებულნი ხდებიან, რაც კონფლიქტური სიტუაციის განვითრების საფრთხეებს ქმნის.

– ქალბატონო ანა, ამ პრობლემისადმი სახელმწიფოს გულგრილობას რითი ხსნით?

– მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევების შესახებ ფართო საზოგადოება, მათ შორის, სახელმწიფო უწყებები - სასწავლო დაწესებულებები თუ შსს კარგადაა ინფორმირებული, სახელმწიფო ნაადრევი ქორწინების ფაქტებზე არ რეაგირებს. ბავშვთა ძალადობაზე ზომები უნდა გამკაცრდეს... მოვუწოდებ მოსახლეობას, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე ინფორმაცია მოგვაწოდოს და შევეცდებით, სახელმწიფო სტურუქტურებთან ერთად, ადექვატური რეაგირება მოვახდინოთ.

– „რეაგირების მოხდენაში“ რას გულისხმობთ?

– ძალიან მნიშვნელოვანია შსს-ს, კერძოდ, უბნის ინპექტორების ჩართულობა. ყველაზე სერიოზული პრობლემა, რაც ნაადრევ ქორწინებას სდევს, გოგონების მიერ სწავლის შეწყვეტაა, ანუ ნაადრევად გათხოვილი გოგონა საშუალო განათლების გარეშე რჩება.

ანა ნაცვლიშვილი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე: – ნაადრევი ქორწინება ერთ-ერთი ყველაზე ტაბუირებული თემაა. ამ მხრივ განსაკუთრებულ რისკ-ჯგუფებს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები მიეკუთვნებიან. ისინი არასრულწლოვანთა ძალით გათხოვებას ისეთი არასწორი არგუმენტით ამართლებენ, როგორიც მათი კულტურა და ტრადიციაა. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ცდილობს, გარკვეული თემის კულტურასა და ტრადიციაში არ ჩაერიოს, თუმცა, ყველასთვის ცხადია, რომ ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევაა, ძალადობის კულტურითა თუ ტრადიციით გამართლების უფლება კი არავის აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ ამ პრობლემის არსებობა აღიარა და იძულებით ქორწინების კრიმინალიზაცია მოახდინა, არ არსებობს ხედვა და სტრატეგია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ საკანონმდებლო ნორმის პრაქტიკაში რეალიზება. სოფლებში არასრულწლოვანის გათხოვების ფაქტები ხშირია, მაგრამ ადგილობრივი პოლიცია და თვითმმართველობა ამაზე დუმან. ამიტომ, ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციები, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მოზარდები ძალადობისგან დავიცვათ, თუმცა მთავარი პასუხისმგებელი მაინც სახელმწიფოა.

– სახალხო დამცველის საკანონმდებლო ინიციატივით, 16-18 წლამდე პირთა ქორწინების შემთხვევაში, ნებართვის გამცემი მხოლოდ სასამართლო იქნება. ეს ინიციატივა ნაადრევი ქორწინების პრევენცია იქნება?

– ეს მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელზეც მსჯელობა ღირს, მაგრამ პრობლემას მხოლოდ ეს იდეა ვერ აღმოფხვრის - ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმა სახელმწიფო პოლიტიკით და კონკრეტული მექანიზმით უნდა გამყარდეს.

ესაუბრა ნათია ლებანიძე

16 № 23 (287) 10 – 16 ივნისი 2015

ქართული ოცნება

ლიტერატურა. ზელოვნება. ჰოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

მზის შვილები

შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებმა სტიგმა დაამსხვრიეს

1 ივნისს მსოფლიომ ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნა... 1 ივნისს, საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა... 1 ივნისს, საქართველოში, ყველა სატელევიზიო არხმა და ბეჭდურმა მედიამ ფართოდ გააშუქა ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები – პრემიერმა ბავშვებს მიულოცა... განათლების მინისტრი ბავშვებთან ერთად... პრეზიდენტი „მზიურს“ ესტუმრა... ვიცე-სპიკერი და ბავშვები... პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი, თბილისის მერი, ჯანდაცვის მინისტრი, ამის მინისტრი, იმის მინისტრი, მოკლედ, ყველა მინისტრი და ბავშვები...

არასამთავრობო ორგანიზაციებმა – „მზის შვილები“ და კავშირმა – „ჩვენი ბავშვები“ ბავშვთა უფლებების დაცვა თავად ბავშვებს მივანდეთ. პროექტმა, რომელიც სიმბოლურად 1 ივნისს დაიწყო, 3 დღეს გასტანა. პირველ შეხვედრაზე ბავშვებს, მათთვის ადვილად გასაგები ფორმით, ბავშვთა უფლებების კონვენციაზე ვესაუბრეთ, წავუკითხეთ ნაწყვეტები პოლონელი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, იანუშ კირჩაკის ნაწარმოებიდან – „მეფე მათეუშ პირველი“. მერე ყველა ერთად ვიჯექით და წაკითხულს ვაანალიზებდით. ღონისძიებაზე სტუმრად არც პრეზიდენტი გვყოლია, არც – პრემიერი, არც – სხვა მინისტრები, ვიყავით მხოლოდ ჩვენ – დაუნის სინდრომისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები, მათი და-ძმები და მშობლები.

მიუხედავად იმისა, რომ პრესრელიზები თითქმის ყველა ტელევიზიას გავუგზავნეთ, ღონისძიების გასაშუქებლად არავინ მოსულა.

მეორედ, 3 ივნისს შევიკრიბეთ და ჩვენთან ერთად იყო ყველასათვის საყვარელი ბაბილინა (უღრმესი მადლობა!). ბავშვებმა, წინა შეხვედრის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დამოუკიდებლად, ყოველგვარი მითითებისა და კარნახის გარეშე დაამზადეს ტრანსფარანტები და პლაკატები. ნებისმიერი ეს ტრანსფარანტი და პლაკატი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებულია, რაც კი ოდესმე მინახავს!

„ყველა ბავშვს აქვს სწავლის უფლება!“; „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით!“; „ჩვენ გვაქვს უფლებები ხატვის, სწავლის, სიყვარულის, მზრუნველობის!“; „გაუფრთხილდით ბავშვებს!“; „მინდა, რომ უფროსებს უყვარდეთ ბავშვები, სახელმწიფო ზრუნავდეს ყველა მათგანზე ყოველ დღე!“; „მინდა, სკვერი სახლთან ახლოს!“; „ყველა ბავშვს აქვს დასვენების, გართობის უფლება!“; „ბავშვის დამცირება არ შეიძლება, არ შეიძლება მასზე ძალადობა!“ „მინდა, სახელმწიფო იმ ბავშვებს დაეხმაროს, ვინც ბავშვთა სახლშია!“ „მინდა, ყველა ბავშვი იყოს ბედნიერი!“ „მსურს ჩემი აზრის გამოთქმა!“ „კარგად უნდა მოექცეთ ბავშვებს!“ – ეს იმის მხოლოდ მცირე ნაწილია, რაც ბავშვებმა დაწერეს იმ დღეს.

3 მაისის შეხვედრის შესახებ პრესრელიზები ისევ ყველა ტელევიზიას გადაეგზავნა და, ალბათ, ბაბილინას დამსახურებაა, რომ მოვიდა... სამწუხაროდ, მხოლოდ „რუსთავი 2“.

3 მაისს, ექვსსაათიან „კურიერში“ 1-წუთიანი სიუჟეტი გავიდა – ახალი სტანდარტების მიხედვით, ბავშვების გადადღაბნილი სახეებით.

7 ივნისს მესამე და ბოლო შეხვედრა შედგა. ილიაუნიდან უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე ჟივილ-ხივილით ჩაიარეს „უფლებებით“ ფრთაშესხმულმა ბავშვებმა. ძნელია, სიტყვებით იმ სითბოსი და სიყვარულის გადმოცემა, რომელსაც მაღაზიების კართან მდგარი, შემხვედრი, ქუჩაში მიმავალი მანქანებიდან თუ მსვლელობას შემოერთებული ადამიანების მზერაში ვხედავდი. უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, მერიის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტი საკმარისი არ აღმოჩნდა და მსვლელობის რამდენიმე მონაწილე, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, გულწრფელად მოღიმარი სახით, ვარაზისხევში გაჩერებულმა უცნობმა (ტაქსი) აიყვანა ლისის ტბაზე (უღრმესი მადლობა). ბავშვების, რომლებიც თავიანთ უფლებებს იცავდნენ, მსვლელობამ ჭავჭავაძის გამზირზე და ულამაზესმა კონცერტმა ლისის ტბაზე, ისევ კამერებისა და ჟურნალისტების გარეშე ჩაიარა. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ღონისძიება, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, ტელევიზიებისა და პრესისთვის თავის მოსაწონებლად გაკეთდა. არა! ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც ამ ღონისძიების ფართოდ გაშუქება მინდოდა (დარწმუნებული ვარ, იგივეს ფიქრობენ ღონისძიების სხვა ორგანიზატორებიც), მხოლოდ ის იყო, რომ გვინდოდა, ბევრ, რაც შეიძლება ბევრ ბავშვს ენახა, რომ მათი თანატოლები, ბავშვები, რომლებიც ხშირად მხოლოდ სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვევენ საზოგადოების გარკვეულ ფენებში, ცხოვრობენ სრულფასოვანი ცხოვრებით, ფიქრობენ და ამ ნაფიქრალის გადმოცემის შეუდარებელი, შესაშური ნიჭი აქვთ. შეუძლიათ, თავად დაამსხვრიონ სტიგმა, რომელსაც ჩვენ, მათი მშობლები რამდენიმე წელია, ვებრძვით და რაც მთავარია, მათ აქვთ ძალა, თავად დაიცვან საკუთარი უფლებები.

1 ივნისი ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე იყო და ბავშვებმა, რომლებმაც მედიის კეთილგანწყობა ვერ თუ არ დაიმსახურეს, შთაბეჭდილებით სავსე სამი ულამაზესი დღე აჩუქეს საკუთარ თავს.

ვერავისთან გადაღებული სურათი, ვერანაირი საჩუქარი, ვერანაირი გასართობი ცენტრი ვერ გაუწევს კონკურენციას ამ სამ დღეს. ახლა ვზივარ და ფოტოებს ვათვალიერებ. ყველა მათგანიდან საოცარი ძალა და ენერგია მოდის, ყველა ფოტო სიყვარულით, სიხარულით, უკეთესი მომავლის რწმენითაა სავსე. ვათვალიერებ ფოტოებს და მტკივა...

მხოლოდ სოციალურ ქსელში რატომ ვრცელდება საკუთარი უფლებების დამცველი ბავშვების ფოტოები (ღონისძიების ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიერ გადაღებული)?

ნუთუ, დღეს ყველა ტელევიზიის კამერა ამ ბავშვებისკენ არ უნდა ყოფილიყო მომართული?

ხუმრობა საქმეა? – „ბავშვები იცავენ თავიანთ უფლებებს“!

ინგა ლოლაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილების“ ხელმძღვანელი

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲔᲑᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ, ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲘᲢᲘᲠᲔᲡ!

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. ღონისძიება პოლონეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებას, რომელიც სასტუმრო „შერატონში“ მოეწყო, ადგილობრივი დიპლომატიური კორპუსის წევრები, პარლამენტარები, ასევე, ცნობადი სახეები და პოლონეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად, ვარშავაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე უფრო მასშტაბურად აღინიშნა. საორგანიზაციო საკითხებში აქტიურად იყო ჩართული პოლონეთში ქართული სათვისტომო. სწორედ ამ ორგანიზაციის ინიციატივით, ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან ვარშავაში ფოლკლორული ანსამბლი „ერთობა“ ჩავიდა.

ანსამბლის წევრებმა ვარშავაში გამართულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე პოლონეთის ჰიმნი პირველად შეასრულეს, რამაც დამსწრე საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, პოლონელი სტუმრების დიდი ემოცია გამოიწვია - სტუმრების ნაწილმა ცრემლების შეკავება ვერ შეძლო.

სტუმრებმა ქართული ღვინო და კერძებიც დააგემოვნეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას საინფორმაციო მხარდაჭერა საინფორმაციო-ანალიტიკურმა პორტალმა „კვირამ“ გაუწია.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, „კვირასთან“ საუბრისას პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ვარშავაში გამართული საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებით სტუმრები ნასიამოვნები დარჩნენ და მათ ქართული კულტურის გაცნობის შესაძლებლობაც მიეცათ.

ელჩმა ღონისძიებაში ანსამბლ „ერთობის“ მონაწილეობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მის მიერ შესრულებული ჰიმნის მოსმენის შემდეგ, დამსწრე საზოგადოების ნაწილმა ცრემლების შეკავება ვერ შეძლო.

„ვარშავაში გამართულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე 400-მდე სტუმარი გვყავდა, მათ შორის, პარლამენტის, საგარეო საქმეთა და სხვა უწყებების, ასევე, რეგიონების წარმომადგენლები. რა თქმა უნდა - ჩვენი დიასპორაც. წელს ღონისძიება კიდევ უფრო მასშტაბური იყო. ვარშავაში, „ერთობის“ სახით, ძალიან კარგი ჯგუფი ჩამოვიდა, რომელმაც პოლონეთის ჰიმნი ძალიან სწრაფად აითვისა და ვარშავაში, ქართველების მიერ, პოლონური ჰიმნი პირველად შესრულდა. ამან ძალიან ემოციურად იმოქმედა პოლონელებზე, რამდენიმე მათგანმა მითხრა კიდეც, რომ ცრემლები ვერ შეიკავა. სტუმრები ნასიამოვნები დარჩნენ. სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოდგენილი იყო ღვინო — პოლონელებს ქართული ღვინო ძალიან უყვართ. ღვინის დეგუსტაციამ სასიამოვნო აჟიოტაჟი გამოიწვია. ასევე, წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო, რამაც მოწონება დაიმსახურა. თითქმის ყველაფერი იყო, რითიც შეგვეძლო სტუმრებისთვის საქართველო გაგვეცნო და წარმოგვეჩინა. მნიშვნელოვანია, რომ ისეთი თარიღი, როგორიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, საზღვარგარეთაც აღინიშნება, ამ დღეს მაქსიმალურად უნდა წარმოაჩინო შენი ქვეყნის კულტურა, ვფიქრობ, ეს მოვახერხეთ, რადგან სტუმრები კმაყოფილები დარჩნენ“, — განუცხადა „კვირას“ ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, „კვირას“ პოლონეთში ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი, კატო ლოლაძეც ესაუბრა. კატო ლოლაძე მოხარულია, რომ ანსამბლ „ერთობის“ მიერ შესრულებულმა ჰიმნმა და სიმღერებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

პოლონეთში ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ქართული სიმღერის, კულტურის პოპულარიზაცია.

„ვარშავაში გამართულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ქართული ანსამბლი „ერთობა“ მოვიწვიეთ. მოხარული ვარ, რომ მისმა შესრულებამ ასეთი მოწონება დაიმსახურა. ძალიან მნიშვნელოვანია ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მზად ვართ, ამაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ“, — აღნიშნა კატო ლოლაძემ.

„ᲙᲕᲘᲠᲐ.ᲒᲔ“

18
№ 23 (287)
10 – 16 ივნისი 2015

ქართული ოცნება

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲘ ᲙᲐᲞᲠᲘᲝᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲒᲔᲚᲤᲠᲔᲜᲓᲘ“ ᲰᲧᲐᲕᲡ

არავინ იცის, მათ ურთიერთობას მომავალი აქვს თუ არა, მაგრამ რაც უნდა იყოს, 24 წლის ამერიკელი მოდელი, კელი რორბახი ისტორიაში თუნდაც მხოლოდ იმიტომ შევა, რომ ჰოლივუდის 40 წლის ბერბიჭა, ლეონარდო დი კაპრიო „ეფარცქვალება“.

გლამურული მედიის ცნობით, არცთუ დიდი ხნის წინ, წყვილმა საღამო ლოს-ანჟელესის ერთ-ერთ კლუბში გაატარა და 5 ათასი დოლარიც დახარჯა. მოგვიანებით კი, კელი და ლეო ნიუ იორკში შენიშნეს.

აღსანიშნავია, რომ დი კაპრიოს მოდელებისკენ აქვს „მიდრეკილება“ - კელის გაცნობამდე, ასევე, მოდელ ტონი გარნს ხვდებოდა, რომელთან დაშორების შემდეგაც ითქვა, რომ ვარსკვლავი მომღერალ რიანას „ჰყვარობდა“, თუმცა ეს ხმა, როგორც ჩანს, არ გამართლდა.

ᲞᲐᲞᲐᲠᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲠᲘᲐᲜᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗᲐᲜ „ᲒᲐᲛᲝᲘᲭᲘᲠᲔᲡ“

27 წლის სახელგანთქმული მომღერალი რიანა პაპარაცებმა, ასევე, 27 წლის ფეხბურთელთან, მადრიდის „რეალისა“ და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელ კარიმ ბენზემთან „გამოიჭირეს“. არადა, წყვილი მაქსიმალურად ცდილობს, რომ „გარე თვალმა“ ეს ურთიერთობა არ შეამჩნიოს.

სხვათა შორის, არსებობს ცნობა, რომ მომღერალმა და ფეხბურთელმა ერთმანეთი ინტერნეტით, 2014 წელს მას შემდეგ გაიცნეს, როცა საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშა.

„კარიმ ბენზემა, მე ვგრძნობ შენს ტკივილს“, - ასე გამოეხმაურა მაშინ რიანა საფრანგეთის ნაკრების კრახს.

საერთოდ, რიანა მშფოთვარე ცხოვრებისთვისაა გაჩენილი. ასე, მაგალითად, 2009 წელს, მომღერალს კრის ბრაუნთან კონფლიქტი მოუვიდა, რაც იმით დამთავრდა, რომ რეპერი ქალს თავს დაესხა. მაშინ ყველა ამბობდა, რომ რიანასა და კრისის შერიგება გამორიცხული იყო, მაგრამ ამ კონფლიქტიდან სამი წლის შემდეგ, ისინი შერიგდნენ, თუმცა მალევე დაშორდნენ.

ერთხანობას, რიანა მომღერალ დრეიკს ხვდებოდა, თუმცა ამ ურთიერთობას სერიოზული სახე არ მისცემია.

ᲚᲘᲜᲓᲡᲘ ᲚᲝᲰᲐᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲤᲘᲘᲡ „ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ“ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ

თუკი ჰოლივუდელ მოენეებს დავუჯერებთ, სკანდალებით სახელგანთქმული 28 წლის ლინდსი ლოჰანი შესაძლოა, იტალიური „მაფიის დედოფალი“ გახდეს. საქმე ისაა, რომ ლინდსს იტალიელი მათია მილანი შეუყვარდა, რომელიც, როგორც ამბობენ, იტალიურ მაფიასთან დაკავშირებული ბიზნესმენია.

ჰოლივუდში იმასაც ამბობენ, რომ ვარსკვლავის მიმართ გულგრილი არც იტალიელი „მაფიოზია“ და ამას ისიც ადასტურებს, რომ წყვილმა რამდენიმე დღე ვენეციაში გაატარა.

„მათიას ლინდსის მიმართ განსაკუთრებული გრძნობა აქვს - მას საკუთარი ხელით აჭმევს“, - ამბობენ ჰოლივუდში.

ᲐᲚᲐ ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲐᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲢᲕᲘᲜᲘ ᲨᲔᲔᲠᲧᲐ

ინციდენტი ასტანაში მოხდა, სადაც მუსიკალური პრემია „Муз-ТВ“-ის დაჯილდოებისას, წითელ ხალიჩაზე გავლის დროს, ნიკიტა პრესნიაკოვს თავზე რკინის კონსტრუქცია დაეცა.

კონსტრუქცია ძლიერი ქარის გამო ჩამოვარდა.

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲔᲕᲐ ᲛᲔᲜᲓᲔᲡᲘᲡ ᲜᲣᲓᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲜᲔᲑᲐᲜᲘ

ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲔᲚᲛᲐ ᲔᲕᲐ ᲛᲔᲜᲓᲔᲡᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲝᲑᲘᲗᲐᲪ ᲒᲐᲘᲗᲥᲕᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲔᲕᲐ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲫᲕᲘᲠᲐᲓᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲠᲘᲡᲐᲐ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲔᲕᲐ ᲗᲐᲛᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ. ᲐᲡᲔ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ.

ᲟᲐᲜ-ᲙᲚᲝᲓ ᲕᲐᲜ ᲓᲐᲛᲛᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲓᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ „ᲒᲐᲛᲝᲘᲭᲘᲠᲔᲡ“

80-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲛᲐ, ᲟᲐᲜ-ᲙᲚᲝᲓ ᲕᲐᲜ ᲓᲐᲛᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲪᲝᲚᲛᲐ, ᲒᲚᲔᲓᲘᲡ �პᲝᲠᲢᲣ�გᲔᲖᲛᲐ მეორედ ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲤᲘᲥᲠᲔᲡ.

„57 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲕᲨᲝᲠᲓᲔᲑᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ... ᲓᲘᲐᲰ, ᲩᲕᲔᲜ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲫᲔᲚᲘᲗ. ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲨᲝᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲓᲘᲡᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ, ᲐᲛ ᲡᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲘᲗ“, - ᲐᲛᲑᲝᲑᲡ 54 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲜ ᲓᲐᲛᲘ.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ: ᲧᲐᲕᲚᲐᲒᲐᲡᲣᲚ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲗ.

ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲡᲝᲑᲩᲐᲙᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ, ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲡᲝᲑᲩᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲠᲐᲪ ᲥᲡᲔᲜᲘᲐᲛ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲐᲜᲐᲤᲝᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠ ᲬᲕᲔᲠᲨᲘ �გᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝ �გᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ, ᲛᲐᲡ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠᲘ �გᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔᲪ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ.

ᲙᲠᲘᲨᲢᲘᲐᲜᲣ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲝ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ �პᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ, ᲙᲠᲘᲨᲢᲘᲐᲜᲝ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲔᲜ ᲢᲠᲝ�პᲔᲨᲘ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ: �პᲐ�პᲐᲠᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲝᲨᲐᲠᲓᲐ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲝ ᲐᲠᲐᲤᲮᲘᲖᲔᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ...

ᲛᲔᲠᲚᲘᲜ ᲛᲝᲜᲠᲝᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲚᲘᲜ ᲛᲝᲜᲠᲝᲡ ᲥᲐᲠᲐᲤᲨᲣᲢᲐᲡ ᲔᲫᲐᲮᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲡ ᲦᲠᲛᲐ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ.

1962 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ, ᲤᲝᲢᲝ�გᲠᲐᲤᲛᲐ ᲯᲝᲠᲯ ᲑᲐᲠᲘᲡᲛᲐ ᲛᲔᲠᲚᲘᲜᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ �გᲐᲓᲐᲣᲦᲝ. ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ �გᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲡ... ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲔᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, 36 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲠᲝ �გᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲠᲑᲘ ᲓᲝᲖᲐ �გᲐᲮᲓᲐ.

ᲤᲝᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ �გᲐᲛᲝᲔᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲠᲚᲘᲜ ᲛᲝᲜᲠᲝᲡ �გᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲘᲦᲝ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲖᲔ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲛᲝᲜᲠᲝᲡ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲓ ᲠᲩᲔᲑᲐ.

თაკო

ისე მებრძვის მტერი თარსი,
ვერც ხასიათს შევიცვლი,
სხვამ ვინ იცის ჩემი ფასი,
ისე, როგორც შენ იცი?!

ნუ ხართ ნერვებაშლილი

წულუკიანებს, ჩარკვიანებს,
ასათიანებს, გელოვანებს,
ახვლედიანებს

თქვე სომეხო ქართველებო,
ნუ ხართ ნერვებაშლილი,
ერთადერთი ქართველი გვყავს
მიშა სააკაშვილი.
ადრე წინ-წინ მივდიოდით,
ახლა, უკან მიველით,
ქართველობის გარდა, მიშა
არის უკრაინელი.

ტელერეკლამა „ლიკნის“ წყალი

რომელი უნდა დალიოთ,
რა რას უნდა გაუთანაბროთ,
რომ ამბობთ, —
„ლიკნის“ წყალიო“,
„ბორჯომის“ წყალს
რატომ არ ამბობთ?

გველები

არც ევროპაში,
აღარც ნატოში,
გამიგეთ, ნაღდად
არა გველიან.
დღეს სამმილიონ
საქართველოში
მხოლოდ სამასი
არა გველია!

ახალი უნივერსიტეტი

ნეტავ, ვიცოდე,
რა უნივერსიტეტია,
რომელსაც განაგებს
უნივერსალური ტეტია?

სამიკიტნო

დღედაღამე საარყეში
ერთად სვამდა სამი კინტო,
სამი კინტოს სახელზეა
დარქმეული „სამიკიტნო“.

ზურა მეგრელიშვილის ფოტო

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით